



ქვემოთა  
საქართველო

**გაზეთის ფასი:** ერთი წლით თბილისში 7 მან., სხვაგან  
 წლით 3 მ. 50 კ.; თბილისის გარეთ ერთი წლით 8 მან., სხვა-  
 განი წლით 4 მან.; სამი თვით 2 მან., თითო ნომერი—15 კაპ.  
 ხელის-მარწერა მიიღება: თბილისში—„ქვემოთა-საქართველო“  
 საზოგადოების“ კანცელარიაში და „კვალის“ რედაქციაში, თბილისის  
 ქ. № 12. ტელეფონი № 734.  
 ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакция „КВАЛИ“.

**შინაჯარსი:** ქალაქის მართვა-გამგეობა ფ. გ. ს. სხვა-და-სხვა  
 ამბები, კორესპონდენციები. ლექსი ია-ძე.—მანქანა.—საზღვარ-გა-  
 რეთ.—დ. ს. სიზაგინი.—რუსეთის ცხვრება.—სამშობლო ცა-  
 ზე—რიგოლეტოსი.—თავისუფლება ნების თუ აუცილებლობა?  
 ი. გოპარეღია.—ქსიძე ქალთა კათხვის შესახებ—ერთი ქა-  
 ლთაგანისა.—წერილი რედაქციის მიმართ.—განცხადება,

**ქალაქის მართვა-გამგეობა.**

V. ქალაქის ფინანსები და აღებ-მაცემობითი ეკონომია.  
 აქამდის ჩვენ ლაპარაკი გვქონდა ქალაქის საქროებებზე.  
 ამ საქროებათაგან ბევრი, ძალიან ბევრი რამ,—ზოგი უადგი-  
 ლობისა და ზოგიც ჩვენგან დამოუკიდებელ გარემოების გამო.  
 —ვერ მოვიხსენიეთ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, გვერთა, მკით-  
 ხელი ნათქვამიდანაც დაინახავდა, რომ ქალაქში გასაკეთებე-  
 ლი საქმეები მრავალთ-მრავალია, საზოგადო ხასიათის საქრო-  
 ებანი და მოთხოვნები აუარებელია. ამ მოთხოვნილება-  
 თა დაკმაყოფილება თითოეულ მოქალაქეს ცალკე არ შეუძ-  
 ლია, ეს მას ძალ-ღონეს აღემატება. შეუძლებელია, თითოეულ-  
 მა ქალაქის მცხოვრებმა ხელში სათელი დაიჭიროს და ღამით  
 გზა გაინათოს. შეუძლებელია, ყველამ თავ-თავისთვის მდინა-  
 რეზე გასასვლელი ხიდი გამართოს, ბაღები გაიშენოს, საავათ-  
 მყოფო აიგოს და ცალკე ექიმი დაიჭიროს, სკოლა გაიმართოს  
 და თავი-თვის ცალკე მასწავლებლები დაიჭიროვოს. ეს და სხვა  
 მრავალი მოთხოვნილებები საზოგადო ხასიათისაა. მათი დაკმა-  
 ყოფილება მხოლოდ მაშინ მოხერხდება კარგათ და თანაც  
 ეკონომიურათ, ე. ი. ნაკლები შრომის დახარჯვით, როცა  
 ამისთვის საზოგადო შეერთებული ძალ-ღონე იხმარება. ამი-  
 ტომ მოქალაქე, როცა უნდა უსიამოვნო იყოს მისთვის გადასა-  
 ხადის გაღება, საზოგადო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილე-  
 ბლათ ხარჯის გაწევას ვერ აცდება. ასეთ ხარჯების გა-  
 ლებას აუცილებლათ ხდის თვით საზოგადოებრივი ორგანიზა-  
 ცია. მოქალაქენი იხდიან გადასახადს, ხოლო მათ მიერ არჩე-  
 ული გამგეობა ხარჯავს ამას ქალაქის საქმეების გასაძლოლათ  
 და მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ. და აი, ეს იწო-  
 დება ფინანსებათ. საქროო სახსრის გამონახვა, მისი აღების და  
 მოგროვების წეს-რიგი, ერთი სიტყვით ქალაქის შესავალი და  
 ამისი დახარჯვა ქალაქის საქროებებზე—ეს არის ქალაქის მა-  
 რთვა-გამგეობის ის მხარე, რომელსაც ეწოდება ფინანსები.  
 როგორც ყველა ცალკე ოჯახს აქვს შესავალი და აქვს გასა-  
 ვალი, ისევე აქვს ეს იმ დიდ საზოგადოებრივ ოჯახსაც, რო-  
 მელსაც ქვია ქალაქი.

როცა უფრო იზდება და დიდდება ქალაქი, მით უფრო მა-  
 ტულობს ქალაქის მოთხოვნილებები, მით უფრო იზდება და  
 დიდდება ამათ დასაკმაყოფილებლათ საქროო ხარჯები, თან და

თან ვრცელდება ხალხში სწავლა-განათლება, მატულობს შრო-  
 მის ნაყოფიერობა, იზდება კულტურული ცნობიერება და ეს  
 იწვევს საერთო მოთხოვნილება-საჭიროებათა გადიდებას და გა-  
 მრავლებას. ქალაქის ხარჯების თანდათან იზდება და ვიჩვენებს,  
 რომ თვითონ ქალაქიც თანდათან იზდება და ვითარდება.

საკმარისი გადახედვით ვეროპის ქალაქების საფინანსო  
 სტატისტიკას, რომ დაერწმუნდეთ ამ აზრის სიმართლეში. მა-  
 გალითათ, 1896 წელს ვერმანის შემდეგ ქალაქებს დაუხარ-  
 ჯავთ:


	ქუჩების გა- საწმენ დათ მარკა	ქუჩების მო- სარწყვათ მარკა.	უწმინდე- რების გასაწ. მარკა.	ბაღებზე. მარკა.
ბურღანს	2842965	300000	3236543	396300
ჭამბურგს	907920	95777	506415	226000
მიუნსუნს	260875	29345	1882855	115977
ლეიპციგს	192020	58395	347431	76112
ბრესლაგს	276122	29755	413637	185590
დრესდენს	423285	91678	484584	63423
ბელსს	204296	27540	1316700	109916
ფრანკფურტს	482647	61240	549908	92070

რა თქმა უნდა, მარტო ამ ხარჯებით არ განისაზღვრება  
 ხსენებულ ქალაქების ჰიგიენურათ მოწყობის ხარჯები. აქ არ  
 არის მოხსენებული ის დიდძალი ფული, რომელიც დაუხარ-  
 ჯავთ ამ ქალაქებს საავათმყოფოებზე, ბინების ჰიგიენურათ მო-  
 წყობაზე, ხორაგეულობის გაშინჯვასა და თვალ-ყურის ქერაზე  
 და კიდევ ბევრ სხვა რამეებზე.

ასევე დიდ-ძალი ფული ჰქონდა ვეროპის ქალაქებში სწა-  
 ვლა-განათლების საქმესაც. ამის შესახებ ზოგიერთი ციფრები  
 ერთ წინა წერილში \*) გვექონდა აღნიშნული და აქ აღარ ვი-  
 მგორებთ. ვიტყვით მხოლოდ, რომ, მაგალითათ, ქალაქ პარი-  
 ჟის 1899 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში სწავლა-განათლების საქ-  
 მისთვის 30 მილიონი ფრანკი არის შეტანილი.

ქალაქს, ვითარცა მრავალ ხალხის შემცველ საზოგადოე-  
 ბას, ჰქონდა სხვა-და-სხვა ნაირი პოლიცია: პოლიცია სამშე-  
 ნებლო, პოლიცია მშვიდობიანობის დასაცველათ, ხალხის ჯან-  
 მთელობაზე საზრუნველათ. ამასაც ხარჯი უნდა და ძალიან

\*) იხ. კვალი № 13, გვ. 206.



დიდი ხარჯიც. ამ ხარჯებში ქალაქებს ჩვეულებრივ სახელმწიფოც ეხმარება, მაგრამ ის, რაც ქალაქებს უწევს გადასახდელათ, მაინც საკმარისათ დიდია. ბერლინში სულზე სამი მანათი ჯდება მშვიდობიანობის პოლიტიკის შენახვა და მთელი ხარჯი 9 მილიონ მარკას აღემატება. პარიზის 1899 წლის ხარჯთაღრიცხვაში საპოლიტიკო პრეფექტურის ხარჯები 32 მილიონ ფრანკით არის აღნიშნული.

მშვიდობიანობის პოლიტიკაზე კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ქალაქისთვის ცეცხლის ქრობის საქმის მოწყობა-მომართვას, რასაკვირველია, ეს საქმე ისე ჩათლახათ არ არის ევროპაში მოწყობილი, როგორც ჩვენში. იქ არის გამართული გლეხტრონის ყუთები სადგურისთვის ცნობის მისაცემათ, აქვე მრავალგვარი იარაღები ცეცხლის ქრობის დროს სახმარათ და ყავთ საკმაო ხალხი ზარალის მომცემ სტიქიურ ძალასთან საბრძოლველათ. შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ცეცხლის ქრობის საქმე ქალაქში ყველას არ ანტერესებს, ეს მხოლოდ სახლის პატრონების საზრუნავ საგანს შეადგენს, მაგრამ ეს შეცდომა იქნება. ეს საქმე ყველასთვის საჭირო და საინტერესოა. ყველა ქალაქის მცხოვრებთ, ასეა თუ ისე, აქვთ ბინები, და მამასადადე, ცეცხლის გაჩენა ყველას მიცემს ზარალს და დაბრკოლებას. სახლის პატრონს ჩვეულებრივ თვისი სახლი დაზღვეული აქვს, ხოლო მდგმურის ქონება-აგეჯი ასში ერთი არ არის დაზღვეული და პატრონისთვის უზრუნველყოფილი. დაიწვიის სახლი და—სახლის პატრონი ფასს დაშლდევ საზოგადოებისგან მიიღებს, ხოლო მდგმურს მის დამწვარ ქონებაში არაფერ არას მიიღოს. ამიტომ ქალაქი, რომელიც აწესრიგებს ცეცხლის ქრობის საქმეს, ყველასთვის სასარგებლოთ მოქმედობს, ყველას სარგებლობას აძლევს. ამიტომაც არის, რომ ცეცხლის ქრობის ხარჯები ქალაქის ფინანსების ერთ-ერთ მთავარ საგანს შეადგენს. 1896 წ. ბერლინს დაუხარჯავს ამ საგანზე 1708527 მარკა, ლეიპციგს 252979, მიუნხენს 238959. ბრესლაგს 264159, კელნს 207400 მარკა და ასე სხვა დიდ ქალაქებსაც.

გარდა აქ ჩამოთვლილისა კიდევ ბევრი სხვა ხარჯები აქვს ქალაქს, რომლებსაც აქ უადგილობის გამო ცალ-ცალკე იგეგმარ მოიხსენიებთ. მხოლოდ ერთი საგანი კი მაინც უნდა აღვნიშნოთ. ეს არის ლარიბთა ყოფა-მდგომარეობის გაუმჯობესება, ამისთვის ხარჯების გაღება და საჭირო დაწესებულებათა დაარსება.

რასაკვირველია, ყველა ამ ხარჯების გასაწევათ ქალაქს უნდა ჰქონდეს შემოსავალი. ქალაქის კასიდან ამა რა უნდა იქნეს გატანილი და საზოგადო საქმიებზე მოხმარებული, თუ იქ არათორი არ იქნება შეტანილი და მოგროვებული. გასავალი გირ იქნება, თუ არ არის შემოსავალი, სხვა-და-სხვა საზოგადო საჭიროება გირ დაკმაყოფილდება, თუ არ არის ღონე და სახსარი. ამიტომ ქალაქის კასას გასავალთან ერთათ უნდა ქონდეს თა აქის კიდევ შემოსავალი.

ეს შემოსავალი სხვა-და-სხვა გზით და ფორმით გროვდება. ერთ უმთავრეს გზას შეადგენს თვით მოქალაქეებზე დადებული საჯოღებულო გადასახადი. გარდა ამისა ქალაქს შეიძლება შემოსავალი ეძლეოდეს სხვა-და-სხვა გვარ ბაჟების დაწესებით (пошлины, qebühren), საქალაქო ქონების იჯარით გაცემით, გაქირავებით ან გასესხებით, საკუთარ აღებ-მიცემობითი წარმოებით, სახელმწიფოსგან დახმარებით და დასასრულ სესხის აღებით. — ყველა ამებზე თეორიულ მსჯელობის გამართვა შორს წაგვიყვანს და ეს არც შეფერებასაგაზეთო წერილის დანიშნულებას. ვკონებთ უმჯობესი იქნება თეილისის საქმეებს დაეუახლოოდეთ და მისი ფინანსები მოიხსენიოთ.

თეილისის საქალაქო შემოსავლის სამ მთავარ საგანს შეადგენს ა) დაფასებითი და ბ) ვაჭრობა-მრეწველობაზე დაწე-

სებული გადასახადი და გ) საქალაქო მამულები, რომლებსაც ქალაქი იჯარით იძლევა და მოიჯარადრეთაგან საიჯარო ფასს იღებს. პარველ შემთხვევაში გადასახადს რედაქტირებას ქატრონები, მეორეში—ვაჭარ-მრეწველები, ხოლო მესამეში ქალაქის მოიჯარადრენი. შეიძლება ამიტომ ზოგიერთი მკითხველი დარწმუნებულიც იყოს, რომ ვითომ აქ გადასახადს მართლაც აქ ჩამოთვლილი პირები ხდებიან, მაგრამ ეს ასე არ გახლავთ. სახლის პატრონის მიერ გადასახადის გაღება არ ნიშნავს იმას, რომ ნამდვილათ იგი არის გადამხდელი. თვისი გადასახადი მას სახლის ქირაში შეაქვს და მდგმურებისაგან იღებს, ასე რომ ნამდვილი გადამხდელები მდგმურები არიან და არა სახლის პატრონები. ასევეა საქმე სამრეწველო და სავაჭრო გადასახადის შესახებაც. მართალია, აქ გადასახადი ვაჭრებსა და მრეწველებს შეაქვთ, მაგრამ ამას ისინი შემდეგ საქონელს ადებენ ფასს და უმატებენ. მუშტრები, როცა რამეს ყიდულობენ ვაჭრისა თუ მრეწველისაგან, იხდიან საქალაქო გადასახადსაც, რომელიც გამყიდველს საქონლის ფასში აქვს შეტანილი. და რაც შეეხება საქალაქო მამულებს, აქაც რომ საქმე სხვა ნაირათ არ არის, ეს ძნელი გასაგები არაა: ქალაქის ადგილის მოიჯარადრე ხმარობს ადგილს ან ვაჭრობისა და ან სამრეწველო მიზნისათვის. რასაკვირველია, მას მოგება უნდა და არა ზარალი. ისიც საარენდო ქირას საერო ხარჯებში შეიტანს და საქონლის ფასს დაადებს მყიდველსის მიერ გადასახდელათ. მიუხედავათ ამისა მოიპოვებინ ისეთი უზადრუკი პირები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ქალაქის მართვა-გამგეობაში ხმა და გავლენა მხოლოდ სახლის პატრონებს და განსაზღვრულ ცენზის მქონე ვაჭარ-მრეწველებს უნდა ქონდეთ, რადგან მხოლოდ ესენი არიან საქალაქო გადასახადთა გაღებნიო. ამით მოჩვენება სინამდვილეთ მიაჩნით და გადასახადის პირველი გამღებნი ნამდვილ გადამხდელებათ ყავთ წარმოდგენილი.

რუსეთის ქალაქების საფინანსო პოლიტიკის ერთ მთავარ ნაკლათ უნდა ჩათვალოს ის გარემოება, რომ მათ არ აქვთ შემოღებული შემოსავალზე გადასახადი. კარგ გადასახადის სისტემაში ის მიმართულება უნდა იყოს გატარებული, რომ გადამხდელებს შეძლების კვალობაზე ერთმეოდეს გადასახადი გადასახადის სიმძიმე შეუძლოს არ უნდა აწვებოდეს დიდ ტვირთათ და შეძლებულს არ უნდა ტოვებდეს შეუძებლათ და ამ მიზნის შესრულება შეუძლია შემოსავალზე პროგრესიულ გადასახადის დაწესებას. მარტო სამამულო და სავაჭრო-სამრეწველო გადასახადით კი ეს არ ხერხდება. წარმოიდგინეთ-ამის წარმოდგენა ძნელი არაა, — წარმოიდგინეთ თეილისში ისეთი შეძლებული კაცი, რომელიც არც სახლის პატრონია, არც ვაჭარი და არც მრეწველი. ის არის მხოლოდ „რენტე“, — კაპიტალისგან სარგებლის ამღები. ასეთ ადამანს, თუნდ მას რამდენიმე ასი ათასი თუმანი ქონდეს, სრულათ თვის სუფლათ ტოვებს ქალაქში არსებული სისტემა გადასახადისა და მერე სამართალია ეს? განა ასეთი ბურჟუა არ სარგებლობს ქალაქის მოწყობილობით, არ დადის ქალაქის საერთო ძალღონით მოთენილ ქუჩებზე, არ ის უნთქავს ქალაქის ბაღები? ჰაერს, არ ცვეთს ქალაქის ტროტუარს და არ ინათებს გზას ქალაქის მიერ დადგმულ ფარებით? რა თქმა უნდა, ყველა ამებით იგი სარგებლობს, სარგებლობს კაცი, რომელიც შეძლებულია, რომელიც უშრომლათ, თვისი კაპიტალის გასესხებით, ნაღებს ართმევს საზოგადო ეკონომიას და ცხოვრობს თვის უდარდელათ. თვისსუფლათ დატოვება კი არა, სწორეთ ასეთ ადამანებს უნდა კიდებდეს ხელს მაგრათ ფისკალური მართველობა და ართმევდეს დიდ, მათ შეძლებასთან შეთანხმებულ, გადასახადს. მართალია, ქალაქის თვით-მართველობას შუამდგომლობა დაქირდება უმაღლეს მთავრობასთან, რომ მას ნება



რთვა მიეცეს ასეთი გადასახადის შემოღებისა. მაგრამ საქმის სიძნელე საკმარისი საფუძველი არაა იმისი, რომ მან მეცადონებაზე სულ ხელი აიღოს და ქალაქის ფინანსების გაუმჯობესებაზე არ იზრუნოს. იგი იმისთვის არის მოქალაქეთაგან ამორჩეული, რომ ასეთი შრომა გასწიოს და ქალაქის საქმეებს უწინაძღვროს.

თვით არსებულ სამამულო გადასახადის სისტემაშიაც შეიძლება ქალაქისთვის სასარგებლო ცვლილებების შემოტანა. უკანასკნელ წერილში ჩვენ მოვიხსენიეთ ქალაქში მიწების ყიდვა-გაყიდვის სპეკულიაცია, რომელსაც იწვევს ქალაქის გადიდება და აით მიწის რენტის ზრდა. ჩვენ ვნახეთ იქ, რომ სპეკულიანტები დღეს მიწას ყიდულობენ და რამდენიმე წლის შემდეგ, რადგან ხელში მონოპოლია აქვთ, იმავე მიწას ერთი საშათ და ერთი ხუთათ ყიდიან და აქ შეუძლია ქალაქს ხელის მოთბობა. მიწის რენტის აწევა ქალაქის გაზრდის და განვითარების წყალობით ხდება. და ადამიანური სამართლიანობა ამის შესახებ ვერას იტყვის, რომ ქალაქმა ამ სპეკულიანტებს მეტი გადასახადი დაადგას და გადიდებული ფასებით მარტო ისინი არ ასარგებლოს. ამათგან მეტის აღება არც ღმერთს ეწყინება და არც კაცს. ამით მეტი სახსარი შევიძინება საქალაქო კასას და მეტი სარგებლობა მთელ ქალაქს.

მაგრამ ამაზე სრულიათავე არ ფიქრობა ჩვენი ქალაქის თვით-მართველობა. საზოგადოთ მის მოქმედებაში არ ჩანს ნიშანიც, რომ იგი ცდილობდეს შეუძლო მცხოვრებთათვის გადასახდელ ტვირთის შემსუბუქებაზე და შეძლებულებისთვის მომატებაზე. ვთქვათ, ის, რაც ჩვენ ზევით მოვიხსენიეთ გადასახადს ახალ სისტემის შესახებ, რთული და სიძნელე საქმეა. სამაგიეროთ იმაში, რასაც ახლა მოგახსენებთ, ასეთი თავის გამართლება აღარ შეიძლება. თუილისში აგებულა ქალაქის ხარჯით საქალაქო საყასბო. მართალია, ევროპელებმა რომ ნახოს ეს „საყასბო“, ამ სახელს არ უწოდებს, არამედ ნქხვის ერთ დიდ საწყობს დაარქმევს, მაგრამ ჩვენ ხომ ევროპელები არა ვართ. ჩვენში ისიც დიდი საქმეა, რომ რაღაცა საზოგადოჯანმრთელობისთვის საჭირო დაწესებულების მსგავსი რამ დაარსებულა. ყოველ შემთხვევაში, ასეთია თუ ისეთი, კარგია თუ ცუდი, — „საყასბო“ არსებობს. აქ შეეძლო თვით-მართველობას თავისი დემოკრატიული მიმართულება გამოეჩინა და შეუძლო ხალხს ინტერესებზე ეზრუნა. მაგრამ ამას ჩვენ ვერ ვხედავთ მის მოქმედებაში. საყასბოში მორეკილ საქონელზე მას დაუწესებია გადასახადი და იმდენი, რომ საყასბოს ხარჯები იფარება, კაპიტალის სარგებელიც, ამორტიზაციაც და გარდა ამისა კიდევ საკმაოდ დიდი „მოგება“ რჩება. ამას, იქნება, მართლა „მოგებათ“ თვლის ჩვენი განსწავლული თვით-მართველობა. ნამდვილათ-კი ეს გახლავთ არა მოგება, არამედ არა პირდაპირი გადასახადი, დაწესებული ქალაქის მცხოვრებლებზე. ის გადასახადი, რომელსაც იღებს ქალაქი საყასბოში მორეკილ საქონელზე, ყასბომა ხომ ხარჯათ უნდა იანგარიშოს და ხორცის ფასში შეიტანოს. ის ზედ-მეტი, რომელიც რჩება წლიურათ ქალაქს საყასბოსაგან, ნიშნავს, რომ ქალაქი ხარჯებზე მეტს იღებს საყასბოთი სარგებლობისთვის. ეს მეტი, რომელსაც ქალაქი თავის კასაში იტოვებს, უნდა გადახადონ ქალაქის მცხოვრებლებმა. ეს ასეც ხდება. საყასბოს გადასახადს, რომელიც ხორცის ფასში შეაქვს ყასბს, იხდის თითოეული ხორცის მყიდველი. აქ არ არის გარჩევა მდიდრის ღარიბისაგან, შეძლებულის შეუძლოსაგან. ყველაქ ერთ ფასათ უნდა იყიდოს გირვანქა ხორცი და, მაშასადამე, ყველამ ერთ ნაირათვე უნდა გადაიხადოს საყასბოსგან აღებული ზედ-მეტი გადასახადი. და განა ეს სამართალია? იმდენივე გადასახადი ღარიბ-ღატაკს, რამდენიც მდიდარს, ასიათასების და მილიონის პატრონს! რომ ამით გაუძევა ქალაქის შეუძლო უმრავ-

ლესობას საკვები ხორცი, ეს ერთი მთავარი სალხარი აღამით-ნის არსებობისა, ამაზე არ ფიქრობს და თავს არ იტყვიებს ჩვენი „განათლებული“ თვით-მართველობა. **ქალაქის თვით-მართველობის ასეთივე უზრუნველყოფის ტარიფის დაწესებაშია.კ.** სასმელ წყლისთვის გადასახდელი ფასი ყველასთვის ერთნაირათაა დაწესებული. აქაც არაა გარჩევა მდიდრის ღარიბისაგან, შეძლებულის შეუძლოსაგან. ერთ და იმავე ტარიფით ეძლევა წყალი, ყველას, განურჩევლათ შეძლება-ქონებისა. კიდევ კარგი, რომ ქალაქი წყალში იმდენს იხდევინებოდეს, რაც საჭიროა მხოლოდ ხარჯების, კაპიტალის სარგებლის და ამორტიზაციის დასაფარავათ. მაგრამ ეს ასე არ გახლავთ. მილის წყალი ქალაქს ყოველ წელიწადს ხარჯებზე ბევრათ მეტ შემოსავალს აძლევს. მილის წყალი დღეს ერთი უფლიდესი წყაროა ქალაქის შემოსავლისა. ამასაც, უთუოთ, ჩვენი ქალაქის „მაგება“ მოგებას ეძახიან. ცხადია, ესეც ისეთი „მოგებაა“, როგორც საყასბოს ზედ-მეტი შემოსავალი. ეს არის არა-პირდაპირი გადასახადი, რომელსაც იხდიან ქალაქის მცხოვრებნი, წყლის ყიდვის სახით, ქალაქის საჭიროებათათვის. თუ რა ანტიპიგიური წესია ეს, ამის გაგება, მგონი, ყველასთვის ადვილი უნდა იყოს. წყლისათვის ხარჯებზე მეტის აღება ნიშნავს მომხმარებელთათვის ამ უუსაჭიროეს საგნის გაძვირებას. ეს გაძვირება განსაკუთრებით საგრძნობელია ღარიბი ხალხისათვის. წყლის დიდი ტარიფი აიძულებს ღარიბ კაცს, წყლის ხმარება შეამციროს თავის ოჯახში. იგი ვერ დაიბანს ხელ-პირს, ვერ გაირეცხს საცვალს, ვერ გარეცხს ოთახს და სამზარეულოს. ერთი სიტყვით ყოველთვის იმის ფიქრში იქნება, წყალს გაუფრთხილდეს და ნაკლები დახარჯოს. ამის შედეგი იქნება უსუფთაობა სახლში, ქუჩი ტანზე და ტან-საცმელში. ასეთ ადამიანის სახლი და სხეული გახდება ბუდეთ სხვა-და-სხვა პარაზიტთა და ავთამყოფობათა. და ყველა ამისთვის ვინ იქნება ზნობრივი პასუხისმგებელი? არავინ სხვა გარდა თვით-მართველობისა, რომელიც ხალხს არსებობისთვის აუცილებელ საგანს, წყალს, უძვირებს და სისუფთავის დაცვას უძნელებს.

მართალია, იმ წესით, რა წესითაც დღეს თუილისში წყლის გაცემა წარმოებს, შეუძლებელია მომხმარებელთა შეძლებისა თუ შეუძლებლობის მხედველობაში მიღება. წყალი არ არის ყველა სახლებში გაყვანილი. კრანთან მიმსვლელის ენაობა კი აბა როგორ უნდა გაიგოს და დააფასოს ქალაქის თვით-მართველობამ. ამის აქ გაგება და მხედველობაში მიღება ყოველათ შეუძლებელია. ამიტომ აუცილებლათ საჭიროა, რომ წყალი ყველა სახლებში იქნეს გაყვანილი, თითოეულ სახლში მოიწყობა წყლის საზომ აპარატი და წყლის ფასს დახარჯულ წყლის რაოდენობის მიხედვით აიღებს ქალაქის თვით-მართველობა.

მაგრამ სახლებში წყლის გაყვანა კიდევ არ კმარა მცხოვრებთა უმრავლესობის ინტერესების დასაცავათ. არ კმარა, თუ ქალაქმა წყალი სახლის პატრონს მიცა და მხოლოდ მასთან დაიჭირა საქმე. სახლის პატრონი წყლის ფასს მდგმურებს უანგარიშებს, ე. ი. სახლის ქირას გაძვირებს და თავს იმით იმართლებს, — ქალაქი დიდ-ძალ ფულს მხდევინებს წყლის გულისთვისო. ხუთ მანათს რომ იხდიდეს, მდგმურებს 10-ს და 20-ს უანგარიშებს, ასე რომ მდგმურებისთვის ამ წესით სახლებში წყლის გაყვანა საზარალო თუ იქნება, თორემ სასარგებლო და ხელ-საყრელი არა. ამიტომ ქალაქის მოვალეობა სახლის დამკირავებლები არ დაუქანავოს სახლის პატრონთა თვით-ნებობას და გაუმაძღრობას. სახლის პატრონებს ისიც ეყოფათ, რომ სახლებზე მონოპოლია აქვთ. და წყალიც რომ მათ სამონოპოლიოთ გახდეს, ეს დიდი და შეუწდომელი დანაშაულობა იქნება ქალაქის საზოგადო ინტერესთა დასაცავათ დანიშნულ თვით-

მართველობისა. ქალაქი წყალს უნდა აძლევდეს არა სახლის პატრონს, არამედ პირ და პირ მომხმარებელს. თითო ბინის სამხარეულოში უნდა იყოს წყლის მილი გაყვანილი და წყლის საზომი აპარატი მოწყობილი. მაშინ ქალაქს ადვილათ შეუძლია გაიგოს, რომელმა მდგმურმა რამდენი წყალი დახარჯა და რამდენი უნდა გადაუხადოს ქალაქს წყლის ფასათ. ადვილათ შეეძლება აგრეთვე მას იმის გამოკვლევა, თუ მდგმური რა ქონების პატრონია. შესაძლებელი გახდება ღირებების ნამდვილათ და შეუტომლათ გაგება და მათთვის წყლის სრულიათ უსასყიდლოთ დათმობა.

ყოველ შემთხვევაში, როგორც სახლებში წყლის გაყვანამდი, ისე გაყვანის შექმნაც, წყლის ტარიფი ისე უნდა იყოს დაწესებული, რომ წყლისგან ქალაქს „მოგება“ არ ეძლეოდეს. აქ მოგებისთვის გამოდევნება საზარალოა ხალხის ჯან-მრთელობისათვის და ცხოვრების გამძნელებელი მცხოვრებთა უმრავლესობისათვის. წყლის შემოსავალი უნდა ფარავდეს მხოლოდ ხარჯებს. უნდა მოისპოს ხარჯებზე მეტის აღება, რადგან იგი არის ყოველათ ანტიჰიგიენური საფინანსო საშუალება.

არც წყალი და არც ხორცი არ არის ისეთი საგნები, რომელთა წარმოებასაც ქალაქი მხოლოდ საღებ-მიცემო მიზნით უნდა კიდებდეს ხელს. აქ პირველი საქმეა საზოგადო ჰიგიენა, და ქალაქიც ამჰიგიენის დასაცავათ უნდა იწყებდეს ამგვარ წარმოებას. ფისკალურ ინტერესებისთვის გამოდევნება აქ, ვითარცა საზარალო ხალხისათვის, ყოველათ შეუწყნარებელია.

სამაგიეროდ მოიპოვება წარმოების ისეთი დარგები, რომლებსაც, თუ ქალაქი ხელს მოკიდებს, ბევრი მოგების მოცემა შეუძლია. მაგ., ქუჩების რკინის გზა, რომლითაც კერძო კაპიტალისტები დიდ ძალ ფულის იგებენ, ქალაქს შეუძლია თვითონ აწარმოვოს და მოგებით თავისი კასა გაიმდიდროს. აგრეთვე ქუჩების და სახლების განათება გაზითა და ელექტრონით ისეთი საქმეა, რომლის წაყვანა და პატრონობა უფრო ქალაქს შეეფერება. ამით ქალაქსაც შემოსავალი გაუდიდება და ხალხიც კერძო კაპიტალისტთაგან გაყვლეფას ასცილებდება. მუშა ხალხისთვისაც უფრო სასარგებლო იქნება ქალაქის ხელში მუშაობა. ქალაქი, წინააღმდეგ კერძო კაპიტალისტთა, ეცდება შრომის ურთიერთობაში მეტ სოციალ-პოლიტიკურ პრინციპების გატარებას და მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესებას...

ფ. ვ.

### სხვა-და-სხვა ამბები.

თფილისის გუბერნიის უფროსმა საფაბრიკო ინსპექტორმა ბ. ხელიმსკიმ თფილისის ქარხნებსა და სამრეწველო დაწესებულებებში ერთნაირ შინაგან წესიერების დასამყარებლათ მიიწვია სულ ყველა ამ ქარხნების პატრონები საერთოდ მოსალაპარაკებლათ. ბ. ხელიმსკიმ წინადადება მიცა — წარმოადგინოს ყველა მექარხნემ და სამრეწველო დაწესებულებათა პატრონმა საგუბერნიო საქარხნო საქმეთა საწარმოებელ კრებულში თითოეულ ქარხნის შინაგან წესიერების შესახები პროექტი, ამ პროექტებს წინდაწინ განიხილავს საქარხნო ინსპექცია და შეცვლის, იმ შემთხვევაში, თუ ის არ ეთანხმება საფაბრიკო ინსპექციის მოთხოვნილებას და კანონმდებლო ას. ამის შემდეგ ეს პროექტები უნდა განიხილოს და დაამტკიცოს საქარხნო საქმეთა საკრებულომ, რის შემდეგ ისინი შეიქნებიან სავალდებულო ქარხნების და სამრეწველო დაწესებულების პატრონთა და მუშებისათვის, ქარხნებში წესიერების მოწყობის შესახებ პროექტში უნდა იყოს აღნიშნული მუშის დაქირავების და დათხოვის პირობები, სამუშაო დღის სიგრძე, და სხვა. სხვათა შორის სტატისტიკური ცნობების

პირადი გამოკითხვის შემწევით საქარხნო ინსპექციის შეკრებიან ცნობები. შეკრებილ ცნობების მიხედვით სქარხნო ინსპექციამ შეადგინა ბარათები მუშებისთვის. რომელიც იქნება ნოტარიულ წესით შეკრული პირობების საფაფერო. ამ ბარათებში აღნიშნული წესები სავალდებულოა, როგორც დაქირავებულთა, აგრეთვე მუშებისათვის. ამ ბარათებში ნაჩვენები იქნება ქირაობის პირობები, ქირის რაოდენობა, ქარხნის შინაგანი წესიერების მოწყობა და აგრეთვე საქარხნკანონები. რადგანაც ჩვენებურ ქარხნებში მუშაობენ ადგილობრივი მუშები, ამიტომ ბარათებიც ადგილობრივ ენებზე იქნება გადმოთარგმნილი.

ამიერ კავკასიის რკინის გზის უფროსმა გამოუცხადა რკინის გზის სხვა და სხვა უწყებათა უფროსებს, რომ რკინის გზის მოსამსახურეთ, რომელნიც თავის ნებით ანებებენ სამსახურს თავს ამიერიდან წარადგინონ ხოლომე წერილობითი თხოვნა სამსახურიდან გასვლის შესახებ. ხოლო ვინც წერა-კითხვარ იცის, მან თხოვნის დასაწერათ უნდა მიმართოს იმ პირს რომელსაც თვითონ ენდობა. ეს განკარგულება გამოიწვია იგარემოებამ, რომ ხშირათ ხდება ხოლომე უწყსოება, როდესაც მოსამსახურენი სამსახურს ანებებენ თავს პირადი სიტყვიერ თხოვნით.

ტფილისის დურგალთა ამხანაგობის „შრომის“ წევრთა საზოგადო კრება, რომელიც 31 მარტს არ შედგა, გადაილოკვირას, 7 აპრილისათვის. დღეს, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს, კრება კანონიერათ ჩაითვლება.

როგორც ტფილისის პოლიციის ანგარიშიდან ჩანს, ტფილისში მარტის განმავლობაში ყოფილა შემდეგი სხვა-და-სხვა შემთხვევა და ბოროტ-მოქმედება: 15 — ქურდობა, 1 — უცნაო გარდაცვალება, 8 — ჩხუბში დაჭრა, 2 — ძალათი გაუბატურება, 5 — ცეცხლის გაჩენა, 2 — თავის მოკვლა, 6 — ბავშვის მივდება, 1 — პატიმრის გაქცევა და 1 — დარჩობა.

„პეტერბ. ველომ.“-ს პარიზელი კორესპონდენტი იტყობინება, რომ საფრანგეთში შედგა ფრანგ მრეწველთა და კაპიტალისტთა საზოგადოება, რომელსაც განუზრახავს სამრეწველო მუშაობა გააჩაღოს კავკასიაში. საზოგადოება უკვე შეუდგამოლაპარაკებას კავკასიის სხვა-და-სხვა მადნის პატრონებთან და თხოვს მათ დაუთმონ ეკსპლოატაციის საქმე.

ქალაქის გამგეობაში აღიძრა კითხვა, რომ სასტიკი კონტროლი დააარსონ საწყობებიდან შეშის გაყიდვაზე. მკოდნ პირები ამტკიცებენ, რომ საწყობის პატრონები ხშირათ ერთი საყენის მაგიერათ მყიდველს საყენის ორ-მესამედს აძლევენ და ხან ნახევარსაცაო. ისე ეშმაკურათ აწყობენ შეშას, რომ მყიდველი ვერაფერს ვერ გაიგებსო.

ქალაქის სახლის პატრონების და მდგმურებისათვის საოჯახო წიგნების, საადრესო ფურცლების და მეეზობისთვის ინსტრუქციების დაზადებაზე ტფილისის პოლიცემისტრს დაუხარჯავს 10,000 მან., რომელთაგან ათ პოლიციის ნაწილჯერ-ჯერობით შეუკრებიან და კასსაში შემოაუტანია 6,000 მან. ამგვარათ მოსაკრები დარჩენილა კიდევ 4,000 მანეთი.

ამას წინათ სავაქრო-სამანუფაქტურო კომიტეტმა ითხოვინება დაბალ ტენიკურ სასწავლებელის გახსნისა ტფილისში. ამის გამო კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი აუწყებს კომიტეტს, რომ ყველა ხარჯის გამოანგარიშებით სასწავლებ-

ლის განსნა-მოწყობა დაჯდება 300,000 მან. ერთნობით, ხოლო ყოველ-წლიური ხარჯი იქნება 52,000 მან. თუ მთელ ამ ხარჯს იკსრებს ქალაქი, სამოსწავლო უწყება სიამოვნებით ხელ მოუწართავს სასწავლებლის განსნის საქმეში.

ბელგიის უსახელო საზოგადოების წარმომადგენელმა 1 აპრილიდან ტფილისის ცხენის რკინის გზის ვაგონების სამიზროთ ახალი წესი შემოიღო: საღამოზე უკანასკნელი ვაგონი მუშტილიდან ერეგნის მოედნამდე წამოვა 10 საათსა და 5 წუთზე; ოლგას ქუჩიდან ერეგნის მოედნისაკენ - 11 საათსა და 5 წუთზე; ერეგნის მოედნიდან მუშტილისაკენ ნიკოლოზის ხილით - საღამოს 11 საათსა და 30 წუთზე; ვერის პავილიონიდან მუშტილისაკენ - 11 საათსა და 5 წუთზე; ორთაქალიდან რიყის სადგურამდე - 11 საათსა და 5 წუთზე, ხოლო ამ სადგურიდან მუშტილისაკენ 11 საათსა და 30 წუთზე.

საერო განათლების სამინისტროს განზრახვა აქვს ყარსში საშუალო სასწავლებელი დაარსოს.

კორესპონდენცია.

ქველი-სენაკი. ხარებას და უფრო-კი სახარებათ, ესე იგი ხარების დღემდე თათქმის ერთი კვირის განმავლობაში აქ იქონი ბაზრობა. სამეგრელოს ორ მხრის სხვა-მხლა სოფლებიდან ჩამოაქვთ ახალკას და მხურც-ქალ-ვაჟთ აუარებელი შალის სანახე, რომელიც ზამთრის თვეებში დაუმზადებთ ათქალებს თავიანთ კერაზე და კვამლის-უფუფე-მხრავ ქარ-მოსისიხე და გაჭვარტულ სახლებში. უმეტეს წილ ამ შალეების შეიდეგეა ქუთაისში მოგვარე ურეები. ერთ მათგანის გამოკითხვიდან, როგორც ვაგივე, და ჩემი თვალთაც ვხსე, — მარტო ერთი მას ეყიდა აქ ორ-სამ დღეს საუკეთესო შალეები 3000-4000 მანეთისა და კადეუ ორი ამდენის უიღვის იმედი ქანდა. საუკეთესო შალეებს 3-4 მანეთათ უადულობდენ, — ისე დაცემულა მათი ფასი. ხაკლებ დირსებისას-კი 2 მანეთათ და 2,40 კან. ზევით არ აძლეუდენ. კანსიდა ხშირათ საბრალო მრეწველ ქალების გოდება, — „არ დირს აწი შალის კეთება... — მარა სხვას რას ეწიონ საბრალონი?... ჯერ მარტო მატული 2-3 მანეთის მოუნდავს დირების მიხედვით სანახეს და ერთი თვისა და მეტისაც ერთი ქალის საშუამოს ხელ-ფასი კი სად არის?... საბრალო ჩემი წვრილი მწარმოებელი. ჩარბ-ბაცატების ბაზრის ცოდნამ და თვით მათი, მრეწველთა უცოდინარობამ და დაცალ-ცალკეებამ, თანაც გაჭირვებამ სადღესასწაულად საჭირთა ფულები უქანდობამ ერთი კვირის დღე-ღამე ამ დაბაში წაწიადის შემდეგ იმუ-ღებული განადეს მატულის ფასათ კიეყიდათ თავიანთი დღე-ღამის საწვად-სადაგი სანახე შალეები ვისურვებ, რომ ძველ-სენაკის სამ-რეწველო ამხანაგობას „შუამავალს“ ამ წვრილ მწარმოებლები-სათვისაც ისეთი დახმარება აღმოჩინოს შალის ფასების აწევში, როგორც მას გასულ წელს ხარკის ფასების აწევში გამოუჩინა... ეს საბრალო მრეწველი ხალხიც ამას მოელის... ეს ჩანს სხვათა მხრის ერთი გულ-უბრიყვლო ლაზარაკიდან ამ ბაზრობაზე მრეწველ ქალების... როცა მე და ერთი ორი სხვაც შალეებს ვათვალაიერებდით და ერთ შალეების მთავარ მოგვარე ურის საწყობი ვინახუდეთ: ასეთი ჯამარაკი მოგვესმა მრეწველ ქალების ერთი ჯგუფიდან, „აი, თუ დმერთმა ქნას, რამე ზომა დასჯონ“, ესე იგი შალის ფასების აწევას დაგვეზარებო... ჩვენ მკარეთ გავგეგინა და გავმოდით არა სისამივნო სურათებს ცხოვრებისა, როცა მართლაც არაფრის „ზომის დადება“ არ შეგვეძლო...

ამ ბაზრობაზე ძრახა-ხარები და ცხენები კი ფასებში იყიდებოდა. გულ დაწული კი იყვეს შეიდეგენი...

მ. ბანჯა. 25 მარტს გაიმართა ჩვეულებრივი „ქართული საღამო“ ქართვ. შორ. წერა-კ. გამ. საზ. სასარგებლოთ. „საღამო“ შედგებოდა ოთხ განყოფილებიდან. პირველ

განყოფილებაში წარმოადგინეს ვ. გუნის ერთ მოქმ. ვოდე-ვილი „ადვოკატთან“, მეორე განყოფილებაში კახაბერი იყო კონცერტი. ბ. კავსაძის ლოტბარობით ქართული მუსიკა რომ შეასრულა ქართული ხმები; ბ. კობოსკამ დაუკრა სკრიპკაზე; თფილისიდან მოწვეულმა ქ. შულგინა — რიონელმა იმ-ღერა რამდენიმე რუსული რომანსი. მესამე განყოფილებაში დადგმული იყო ცოცხალი სურათი: „ლხინი ქართველებისა“; მეოთხეში გამართეს ცეკვა — ევროპიული და ჩვენური,

წრეგანდელი ქართული საღამო განჯაში ერთი საუკეთესო საღამოთაგანი იყო, ყველაფერს ზომიერების და რიგიანობის ბეჭედი ესვა, ყოველივემ მწყობრათ ჩაიარა. პიესა „ადვოკატთან“ ადგილობრივ სცენის მოყვარულთ შეასრულეს და ჩანდა, რომ ყველანი ერთგულათ და მუყაითათ შედგომოდენ საქმეს, ეს მით უფრო საჭირო იყო, რომ იგივე პიესა რუსულათ ითამაშეს ქართულ საღამოს ერთი კვირით წინეთ.

განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია კონცერტმა. ბატონმა კავსაძემ 4—5 დღის განმავლობაში ისე მშვენიერათ მოამზადა ხორო ადგილობრივ მომღერალთაგან, რომ ბევრს არა ჯეროდა, თუ ხორო თფილისიდან არ იყო გამოწერილი. ყველა სიმღერები განმეორებულ იქნა საზოგადოების თხოვნით. ყველაზე უფრო მოეწონა საზოგადოებას ბუბა-ქაქუჩელა, რე-რო, სამ მობლო და ბ. კავსაძესაგან შესრულებული სოლო: „გადმიშვი მთაო“ და „დაივიანეს“. ეს ორი ნომერი, მეტადრე უკანასკნელი, დიდი გრძობით იმღერა ბ. კავსაძემ. ზოგიერთებმა ჩვენური ჰოროველა — „გადმიშვი მთაო“ — იტალიანურ მოტივათ ჩარიცხეს. ესეთი აზრი ერთი მხრით ამტკიცებს ჩვენი სიმღერების ღირსებას, მეორე მხრით კი, საწუხაროთ იმას, რომ ჩვენი სიმღერების ხასიათი და ჰანგი ძალიან ცოტამ იცის, რის გამოც ნამდვილ ქართულ სიმღერებს იტალიანურათა სთვლიან. ამაში, რასაკვირველია, ჩვენ ვართ დამნაშავე, ჩვენ თვითონ უნდა გავაცნოთ ჩვენი სიმღერები სხვებს და არ უცადოთ, როდის მოიცილიან ჩვენთვის სხვები. არა გვგონია მალე დადგეს ის დრო, როდესაც „დაძაბუნებულმა დასაყვებელმა ოპერებისათვის მასალა ქართული სიმღერებიდან ამოკრიბოს“. მაგრამ დაუბრუნდეთ ისევ ქართულ საღამოს: ჩვენი დაუდევრობა ახალი ამბავი ხომ არ არის. დიდი სიამოვნებით მოისმინა დამწრე საზოგადოებამ სკრიპკა ბ. კობოსკისი, რომელმაც ხელოვნურათ დაუკრა ვიეტანის ფანტაზია Lombardi. ეს მეორეთ უკრავს ბ. კობოსკა სკრიპკას აქაურ სცენაზე და ორჯერვე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ვგონებ, 7 - 8 წელიწადია აქა მსახურებს ბ. კობოსკა, და ბევრმა არც კი იცოდა, თუ ის სკრიპკაზე უკრავდა. ბ. კობოსკა, რომელსაც კონსერვატორიაში უსწავლია, ჩანს, სერიოზიულათ უყურებს ხელოვნებას და თავის ნიჭის განვითარებაზე უფრო ფიქრობს, ვინემ სახელის მოხეჭაზე.

ქ. შულგინა — რიონელმა, რომელიც იყო მოწვეული თფილისიდან, იმღერა „არი“ ოპ. „მინიონიდან“ და „იდეალი“ ტოსტისა. გრძობით სავსე სიმღერა ქ. შულგინასი ისე მოეწონა საზოგადოებას, რომ დაპირებულ ნომრებს გარდა 5—6 ახალი ნომრები ამღერა საზოგადოებამ.

ქ. შულგინისას თაიგული მიართვეს, ბ. კავსაძეს ვერცხლის საპაპიროსე თავის საწუმწუმეთი.

კარგი სანახავი იყო სურათი: „ქართველების ლხინი“. სურათი წარმოადგენდა ტყეს. ტყეში, მიწაზე გაშლილი იყო სუფრა, რომელსაც გარს შემოსხდომოდენ ქულ-ჯებში გამოწყობილი მოქეიფენი. ტიკტორები, ყანწები, მწვანილი, ყველი, ლავაში, და სხ. ნამდვილ ქართველურ ხასიათს აძლევდა სურათს. მერიქიფემ მიაწოდა სავსე ყანწი თამადას. თამადამ დალია ამხანაგების სადღევრძელო. ამხანაგთ შემოსძახეს კახური მრავალ-ყამიერ, მერე ზედ მოაყოლეს გოგონა და გაიმარა



თა ცეკვა-თამაში. ფარდა ნელ-ნელა ჩამოეშვა და სცენაზე შეწყვეტილ ტუმის კვრას მოყვა ხანგრძლივი ტუმი დარბაზში.

ამის შემდეგ გაიმართა ცეკვა ჩვენებური და ევროპიული. ხელოვნურათ იცეკვა ლეკური და განსაკუთრებით „უზუნდარა“ ქ. ქართვ—სამ. საკმაოდ ნასიამოვნები საზოგადოება დილის ოთხ საათზე დაიშალა. ზოგნი რვა საათამდის დარჩნენ. დასასრულ არ შეგვიძლია არ მოვიხსენიოთ შემდეგი. წლებანდელი ქართული საღამო განსაკუთრებულ პირობებში იყო ჩაყენებული მატერიალური მხრით. წლებანდელის სხვა-და-სხვა პირებს ეგზავნებოდა საპატო ბილეთები, საიდანაც შემოდიოდა 20—25 თუმნამდის, ბუფეტიც იძლეოდა 10—12 თუმანს. წლებანდელს როგორც საპატო ბილეთები, ისე ბუფეტი უხერხულათ მიიჩნიეს სხვა-და-სხვა საპატო მიზეზთა გამო და გადაწყვიტეს არცერთისთვის აღარ მიემართათ. ამნაირათ წინანდელ შემოსავალს 30 თუმნამდი აკლდებოდა. ანაზღვ დაერთო ისიც, რომ ქართულ საღამოს წინ რამდენიმე საქველ-მოქმედო საღამოები გაიმართა და თითონ საღამოს მეორე დღეს კი ქ. ვილცევისა მართადა კონცერტს. ყოველივე ამას შესაძლო იყო ხელი შეეშალა ბილეთების გაყიდვასთვის. ბევრი მიშობდენ, რომ საღამოს დეფიციტი არ დარჩესო. მაგრამ საქმით სხვა აღმოჩნდა. კლუბის დარბაზი ჩვეულებრივით გაქვდილი იყო ხალხით წვეანდელმა ქართულმა საღამომ საბოლოოთ დაგვარწმუნა, რომ განჯელი საზოგადოება სიამოვნებით დადის ხოლმე ქართულ საღამოზე, რომელიც საუკეთესო გასართობს წარმოადგენს წლის განმავლობაში.

შემოსავალი, ზემო აღნიშნულ მიზეზთა გამო, სხვა წლებთან შედარებით ნაკლები იქნება, მაგრამ მაინც დარჩება 20—25 თუმანი წმინდა შემოსავალი.

დროებით განჯელი.

**ი ა ლ ჯ ა ნ ი.**

(დურმონტოვისა).

ზღვისა ბურუსში განმარტოებით თეთრათა მოჩანს რამ იალქანი... რას ეძებს იგი სხვისა მხარეში? რათ დაუგდია სამშობლო თვისი?

სცემენ ტალღები, ზუზუნებს ქარი, ირყევა ანძა და თან ქრიალებს... მაგრამ ნუ ფიქრობთ—ის ბედს ეძებდეს და ან თავის ხედრს ემალებოდეს!

მის ქვეშე ზღვისა ლაფეარდი მოჩანს, ცა მოწმენდილი—მშვენიერია! მაგრამ, მშფოთარე, ქარიშხალს ითხოვს, თითქოს მშვიდობა ქარიშხალშია.

იაქ.

**მ ა წ ა ნ წ ა ლ ა.**

I.

შ ე ხ ვ ე დ რ ა მ ა ს თ ა ნ.

(მაქ. გორკისა).

(გაგრძელება—იხ. № 15).

— უნდა მიემართოთ მოყვასსა ჩვენსა თხოვნით, მითხრა პრომტოვმა და დაიწყო ფანჯრებში ყურება.

ერთი სახლის წინ იდგა დედაკაცი და ბაღის ძუძუს აწოვებდა. პრომტოვმა მას თავი დაუკრა და თხოვა:

— მოწყალეო დედავ! მოიღეთ მოწყალება, მოგზაურ მლოცველთათვის!

— ნუ დამემღურებით! — მიუგო პრომტოვს დედაკაცი და

თან ექვის თვალით აგვათვალ-ჩაგვათვალეო.

— გაგიშრეს შენ რძე, ძაღლის შვილი... შენც უნდა გაჯაერებულმა პრომტოვმა.

დედაკაცი დაიკვილა და გამოეჩანა ჩვენსენ.

— ჰოი, თქვე...

პრომტოვი ადგილიდან არ შეიძრა. ის მიაჩერდა დედაკაცს რაღაცნაირი რისხვის თვალებით... დედაკაცი გაფითრდა, შეკრთა, რაღაც წაიდუღუნა და უცებ შეტრიალდა სახლისკენ.

— წავიდეთ, — ვუთხარ მე პრომტოვს.

— არა, დავიცადოთ, ის პურს გამოგვიტანს.

— ის გამოგზავნის თავის ქმარს კეტით ხელში.

— ძან ბევრი გვმის, აი! მომიგო მან დაცივით.

პრომტოვი არა ტყუოდა, დედაკაცი მალე გამოვიდა სახლიდან და თან გამოიტანა კარგა მოზდილი პური და ყალი (გამზარბი ხორცი) პრომტოვს თავ დაბალი სალაპი მიცა და უთხრა:

— მობძანდით, მიიღეთ, ღეთის ადამიანო, და ნუ გამი რისხდებით...

— და დავიფაროს შენ უფალმან ავი თვალისაგან, დაწყევლისაგან და ყოველთა ჯადოთაგან. საიდუმლო ხმით უპასუხა მას პრომტოვმა, ჩვენ გავშორდით იმ ადგილს.

— მითხარი, თუ ღმერთი გწამს, უთხარ მე პრომტოვს, როდესაც კარგათ დაეშორდით ზემოხსენებულ სახლს, რათა თხოულობთ თქვენ მოწყალებას ასე უცნაურათ.

— იმისთვის რომ, ასეთ ნაირათ მოწყალების თხოვნა ყოველთვის აღწევს მიზანს. დედაკაცს თუ შეხედე მრისხანე თვალებით, შეეშინდება, მას ჯადოსნათ ეჩვენები და არამც თუ პურს, რაც კი აბადია სულ გამოგვიტანს. რისთვის უნდა დავიშორდეთ მე მის წინაშე თავი, როდესაც ბძანება შემიძლია? მე ყოველთვის იმ აზრისა ვარ, რომ თხოვნას წართმევა ჯობია... მაგრამ თუ წართმევა ვერ მოხერხდა, რასაკვირველია, მაშინ კი უნდა თხოვო...

— არ მოგხთომიანთ ისე რომ პურის მაგირ...

— რაო, კისერში, ეცხუნათ? არა, ძამია. შემომხედე კარგათ, მე ერთი საკვირველ-მომქმედი ქალაღლიც კი მაქვს... საკმარისია უჩვენო ეს ქალაღლი გლესს, რომ ის იმ წუთს ჩემი ყმა გახდეს... თუ გინდათ თქვენც გიჩვენებთ ამ ქალაღლს?

მე ჩამოვართვი მას გაქუქყიანებული და დასრესილი ქალაღლი. ეს იყო სამოგზაურო მოწმობა პავლე ივანეს ძე პრომტოვის სახელზე, რომელიც პეტერბურგიდან გამოეგზავნათ ადმინისტრაციული წესით, მას უნდა გამოეგლო ასტრახანზე და წასულიყო ნიკოლაევში. ქალაღლს ზედ ქონდა ასტრახანის პოლიციის სამართველოს ბეჭედი, კანონიერ წარწერებით.

— არ მესმის, ვუთხარ მე პრომტოვს და მივაწოდე უკანვე ქალაღლი. — ეს როგორ არის, რომ თქვენ გამოგზავნილი ხართ პეტერბურგიდან და ასტრახანიდან კი მოდიხართ?

იმან გულიანათ გადიხარხარა, თითქოს უნდოდა ამით ეჩვენებია ჩემთვის, თუ რამდენათ მეტი შეუძლია მას ჩემზე.

— ეს სულ უბრალოა! მომიგო პრომტოვმა. წარმოიდგინეთ, რომ მე მგზავნიან პეტერბურგიდან და თან წინადადებას მაძლევენ-ამოვირჩიო საცხოვრებელი ადგილი. მე ვასახელებ, მაგალითათ, კურსკს. მივდივარ კურსკში და ვეცხადები პოლიციას... მაქვს პატივი გამოგეცხადოთ-მეთქი. რასაკვირველია, პოლიციას მაგდენათ არაფრათ ვესიამოვნები. იმას უჩემოთაც ბევრი აქვს საშუაო. მეორეც ესა, იმას მე დიდი და გაქნილი ვინმე გაიძვერა ვგონივარ, რომლის თაფიდან მოსაშორებლათ კანონის მუხლებმა ვერა გააწყეს რა და ამიტომ ადმინისტრაციულ ზომებისთვის მიუმართავთ. პოლიცია გაქირვებაში ვარდება, მას სურს როგორმე თავიდან მომიშოროს, მე კაცობრიული გრძნობით გამოძაფის ის ამ გაქირვებისაგან.

და ვეუბნები: რადგანაც მე თვით მქონდა ნება ამომეჩინა სა-  
ცხოვრებლათ ადგილი, ხომ არ მოაუსურვებს კურსკის პოლი-  
ციაც, რომ ერთხელ კიდევ ამოვიჩინო. ისინი სიხარულით  
მთანხმდებიან, ოღონდ კი როგორცე თავიდან მომიშორონ.  
მე ვთანხმდები მოვშორდე მათ სამზრუნველო რაიონს, მხო-  
ლოთ ამისთანა გულკეთილობისთვის მათ უნდა მომცენ სამ-  
გზავრო ფული. ისინი სიამოვნებით მადღევენ ხუთს მანეთს,  
თუმანს, მეტს ან ნაკლებს, ეს იმაზე დამოკიდებული, თუ რა  
გუნებაზე არიან, მაგრამ ყოველთვის კი მადღევენ. მადღევენ  
იმიტომ, რომ უკეთესია ხუთი მანეთის მიცემა, ვიდრე უსი-  
ამოვნება ჩემის შოვლა-პატრონობით, ასეა განა?

— შეიძლება, — მიუვუგე მე.

— შეიძლება კი არა, ნამდვილათ ასეა! ისინი მადღევენ  
მე ქალაქს, რომელიც არა გავს პასპორტს. აი სწორეთ ამ  
ქალაქის განსაკუთრებით თვისებაშია ჯადოც. იმაში წერია:  
ად-მი-ნი-სტ-რა-ტი-ულ-ათ პე-ტერ-ბურ-გი-დან გაგზავნილს! მე  
ამ ქალაქს ვეჩვენებ მამასახლისს, რომელიც ჩვეულებრივ,  
ყოველთვის სულელია. მას ეშინიან ამ ქალაქსა — მას ბეჭე-  
დი აზის. მე ვეუბნები მამასახლისს: — ამ ქალაქის ძალით შენ  
უნდა მოკვდე და ამისთვის თავშესაფარი. ისიც მადღევს. უნდა  
მაქამო და მასვა! უარს ვერც ამზე მეუბნება. სხვაფრივ არც  
შეუძლიან მოიქცეს, რადგან ქალაქში წერია: ადმინისტრა-  
ტიულათ პეტერბურგიდან. ეშმაკმა იცის, რა არის — ადმინის-  
ტრატულათ? შეიძლება ეს ნიშნავდეს, რომ გამოგზავნილია  
ჩემით შინამრეწველობის გამოსაკვლევათ, ყალბი ფულის ან  
უპატენტოთ არაყის ხდისა და ვაჭრობის აღმოსაჩენათ, ან და  
იზის შესახებ, გაიგოს თუ მართლმადიდებელნი რაოდენათ  
გულმოდგინეთ დაიარებიან ეკლესიაში. იქნება ადგილ-მამულის  
შესახებაც იყოს. ვინ იცის რას ნიშნავს — ადმინისტრატულათ  
პეტერბურგიდან? იქნებ მე ვინმე დიდი კაციცა ვარ, განგებ  
სხვა ტანისამოსში ჩაცმული. გლეხი სულელია, რა ესმის მას?

— ჰო, მაგდენი არაჯერი, — ვუთხარ მეც.

— და ეს ძალიან კარგიც არის, დარწმუნებით წარმო-  
სთქვა პრომტოვმა. სწორეთ ასეთიც უნდა იყოს ის, რადგან  
მხოლოთ ამნაირათ არის ის საქირო ყველასათვის, როგორც  
ჰაერი, ვინაიდგან რა არის გლეხი? გლეხი არის ყველასათვის  
მასაზრდოებელი ნივთიერება, ე. ი. შესაქმელი ცხოველი. აი  
მაგალითათ მე. განა შემოდლიან უგლეხოთ არსებობა დედა-  
მიწაზე? კაცის არსებობისთვის საქიროა მზე, წყალი, ჰაერი  
და გლეხი...

— დედამიწა?

— გლეხი იყოს, თორე მიწა ყოველთვის იქნება. საქმა-  
რისია უბრძანო: ეი, შენ, შექენი მიწა! და უმალ გაჩნდება  
მიწაც, მას არ შეუძლია არ დაგმორჩილდეთ.

ამ მხიარულ მაწანწალას ძან უყვარდა ლაპარაკი.  
ჩვენ კარგახანია დავშორდით სოფელს, გავიარეთ მინდორი და  
ისევ თვალწინ სოფელი გადაგვეშალა. პრომტოვი ყმედობდა  
მხიარულათ. მე მას ყურს ვუგდებდი და, ან ფიქრობდი გლეხ-  
ზე, ამ მის ახალ პარაზიტზე, ფიქრობდი: როდის მიცემენ  
გლეხს რამე კარგს სამაგიეროთ იმისა, რითაც მას ღდეს ასე  
უხვათ ასაჩუქრებენ? აი ჩემ გვერდით მოდის ნაყოფი ქალაქის  
ცხოვრებისა, ქვიანი და გაქილი მაწანწალა, რომელიც და-  
რწმუნებულია თავის მგლურ ძალღონეში და რომელიც გლე-  
ხის შრომით იკვებება.

— გამიგონე? ვუთხარ მე პრომტოვს, მომაგონდა რა ერ-  
თი გარემოება. — ჩვენ ერთმანეთს იმისთანა გარემოებაში შე-  
ვხვდით, რომ მე ეჭვი მაქვს თქვენი ქალაქის ჯადოსებურ  
მოქმედებაში.

— ჰე, ჩაიციან პრომტოვმა, ეს ადვილი ასახსნელია.

არარის კარგი ხშირათ ვეჩვენებოდე მათ.

მე მომწონდა მისი გულახდილობა. ეს ძრიელ კარგი თვი-  
სებაა, მაგრამ ვწუხვარ, რომ რიგიან ადამიანთა შორის მშვენიერ  
შეხვედებით ამ თვისებას. მე გულმოდგინეთ ვეცდები და ვეცდები  
ჩემი თანამგზავრის თავისუფალ ლაპარაკს და ვცდილობდი  
გამეგო მართლა ისეთი იყო ის, როგორც მოქონდა თავი.

— აი, ჩვენ წინ გადაშლილია სოფელი... თუ გსურთ, მე  
გიჩვენებთ თქვენ ჩემი ქალაქის ძალას? მითხრა პრომტოვმა.

მე უარი ვუთხარ ამზე და სამაგიეროთ ვთხოვე ვაძინა  
ჩემთვის, რისთვის დაასაჩუქრეს ის ამგვარი ქალაქით.

— ეე, ეს დიდი ისტორიაა! ჩაქნია ხელი პრომტოვმა...  
მაგრამ მაინც გიამბობ ოდესმე. მანამდე კი შევასვენოთ და  
შევქამოთ რამე. ცოტა რამ სანოვაგე ჯერჯერობით მოგვე-  
პაება, იმიტომ არაა საქირო წავიდეთ სოფელში და შევა-  
წუხოთ მოყვასი ჩვენი.

ჩვენ გადაუხვიეთ გზას, დავსხდით მაწაზე და დავიწყეთ  
ქამა. მხის თბილ სხივებზე და მინდვრის ნახ ნიაზე ჯანი  
მოღუნდა, ჩვენ გავწყეთ მიწაზე და დავიძინეთ. როდესაც  
ჩვენ გამოგვეღვიძა, მზე კარგათ გადახრილიყო და საღამოს  
ჩრდილი ვეჩვენებოდა მინდორს.

— აი, ხომ ხედავთ, თვით განგებას სურს, რომ ჩვენ ამ  
სოფელში გავათიოთ ღამე-გამოაცხადა პრომტოვმა.

— წავიდეთ, ვიდრე ნათელია, მივეცი მე წინადადება.

— ნუ გეშინიათ, ამელამ ჩვენ უეჭველათ გვექნება თავშე-  
საფარი.

ის არა ტყუოდა. ჩვენ მიგვიღეს პირველსავე სახლში,  
სადაც დავაკაკუნეთ და შევთხოვეთ ბინა.

სახლის პატრონი კარგა მომსხო ტანის კაცი და გულ-  
კეთილი სახისა, ის კი იყო ღაბრუნდა მინდვრიდან, სადაც  
ხნავდა; მისი ცოლი ვახმამს ამხადებდა. მათი ოთხი პატარა  
ბაღლი მიკუქულიყვენ კუთხეში და იქიდან გვიყუებდენ  
ჩვენ ცნობის მოყვარეობით და გაუბედავით. სქელი დისახლი-  
სი ცეცხლთან ფაცურობდა. მისი ქმარი დაჯდა ჩვენ პირდა-  
პირ. ის იხელავდა წელს და გვიყურებდა ჩვენ გაშტერებული.  
ბოლოს გვკითხა:

— საით მიდხართ თქვენ?

— დავდივართ, კეთილო კაცო, ზღვიდან ზღვამდე, ქალაქ  
კიევამდე... თამამათ უპასუხა პრომტოვმა ჩვეულებრივი სიტ-  
ყებით.

— რა არის კარგი ქ. კიევში? გვკითხა ფიქრის შემდეგ  
ისევ სახლის პატრონმა.

— წმიდათა სავანენი! იმან შეხვდა პრომტოვს, გადა-  
აფურიახა გვერდზე და ხელახლა შეეკითხა ჩემზე;

— თქვენ საიდგანდა მოდინართ?

— მე მოვდივარ პეტერბურგიდგან, ეს კი მოსკოვიდან.  
უპასუხა პრომტოვმა.

— ამბობენ პეტერბურგი ზღვაზეა გაშენებულიო. თქვა  
გლეხმა.

ამდროს გაიღო კარები და სახლში ორი გლეხი კიდევ  
შემოვიდა.

— მიხეილ, ჩვენ საქმე გვაქვს შენთან.

— რა საქმეა?

— ისა, რომ გვინდა გავიგოთ, ვინ არიან ეს შენი სტუ-  
პრები?

სახლის პატრონი ჯერ გაჩუმდა, მერე მიბრუნდა მათკენ  
და უთხრა.

— აბა მე რა ვიცი?

— იქნებ მოგზაური-მოლოცველები ხართ? გვკითხეს ჩვენ.

— ასეა! მიუგო პრომტოვმა.

— კარგა, ხანს სიტყმე ჩამავარდა, გლეხები...

... სიხარულით შედიოდა მინისტრთა კომიტეტის სადგომში,



დგინეთ და ექვის თვალთ გვათვალვირებდენ. ბოლოს შემო-  
უსხდენ ყველანი სტოლს და მაღიანათ შეექვენ პურს.

— იქნება, რომელიმე თქვენთაგანი ნასწავლია? გვკითხა  
ერთმა გლეხთაგანმა.

— ორივენი, — მოკლეთ მიუგო პრომტოვმა.

— მაშ იქნებ იცოდეთ რამე წამალი, როდესაც კაცს  
წელი სტკივა, უყუყუს, ისე, რომ ღამე არასძინავს?

— ვიცით? — უთხრა პრომტოვმა.

— აბა, რა არი?

პრომტოვი ჩაფიქრებული ღეჭავდა პურს, მერე გაიწმინდა  
ხელები თავის კონკის ძველებზე და მხოლოდ ამის შემდეგ  
სთქვა რიხიანათ და თითქმის ბძანებით:

— უნდა დაგლიჯო ჭინჭარი და იმით ღამე დააზღვრო  
ღედაკაცს ხერხემალი, მერე ზედ წაისვამ ზეთს მარილით...  
მორჩა და გათავდა!

— მერე რა იქნება მაგით? კითხა კიდევ გლეხმა.

— არაფერიც არ იქნება! მხრების შემშუშვნით მიუგო  
პრომტოვმა.

— არაფერი?

— სულაც არაფერი!

— ხომ მომარჩენს?

— მოგარჩენს!

— ვცდი... მადლობელი ვარ...

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს! უსურვა პრომტოვმა წარბ  
შეუხრელათ.

— კარგა ხანია სიჩუმე ჩამოვარდა. ისმოდა მხოლოდ  
პურის ღეჭვა და ბაღდების ჩურჩული.

— ხომ არ გაგიგონიათ, იკითხა ბოლოს სახლის პატრონ-  
მა, ან პეტერბურგში, ან მოსკოვში, რას ამბობენ: შეიძლება  
ციმბირში გადასახლება თუ არა. ერთი საეროებო მოხელე  
ამბობს, რომ არ შეიძლება.

— არც შეიძლება! გადაწყვეტით თქვა პრომტოვმა.

— ღმერთმა შეაჩვენოთ ისენი.

— არ შეიძლება! განიმეორა კიდევ პრომტოვმა, და მი-  
სი სახე უცებ შეიცვალა, ის აღფრთოვანდა. არ შეიძლება  
იმიტომ, რომ არც არც ციმბირში წასვლა საჭირო, როდესაც  
ყველგან ბევრია მიწა!

— ეგ მართალია, მკვდრებისთვის, რამდენიც გინდათ, იმ-  
დენია, მაგრამ ცოცხლებს რა უნდათ კი... წარმოსთქვა ნა-  
ღვლიანათ ერთმა გლეხმა.

— პეტერბურგში გადაწყვეტილია, ლაპარაკობდა გაბე-  
დულათ პრომტოვი, რომ ყველა გლეხსა და თავადს ჩამოერ-  
თვას მიწა სახაზინოთ.

გლეხებმა თვალები გააჭყიტეს და მიაჩერდნენ პრომტოვს.  
იმან კი მკაცრათ მოაფლო მათ თვალი და კითხა

— უნდა ჩამოერთვათ, მაგრამ რისთვის?

საწყალი გლეხები მოუთმენლათ ელოდნენ ამის ახსნას.  
მე ვუცქეროდი მათ და ძლივს ვითმენდი, როგორ აწვალვებდა  
ეს მატყუარა ამ უბედურ ადამიანებს; მაგრამ გამომეაშკარავე-  
ბინა მისი ტყუილი, ეს ნიშნავდა, რომ პრომტოვს გლეხები  
გვერდებს დაუზღვრავდნენ. მე ძალა-უნებურათ გაეჩუმდი.

— გვითხარი ღვთის გულისათვის, რაშია საქმე? კითხა  
ბოლოს შეშინებული ხმით ერთმა გლეხმა.

— იმისთვის, რომ შემდეგ თანასწორათ გაუყონ მიწა  
გლეხებს. იქ გადაწყვიტეს, პრომტოვმა საითდაც გაიშვირა თი-  
თი, რომ მიწის ნამდვილი პატრონები გლეხები არიან და  
ამიტომ განკარგულება მოახდინეს არ გაუშვან ციმბირისაკენ  
გადასახლებლათ და მოუცადონ მიწის გაყოფას.

ერთ გლეხს პურიც კი გავარდა ხელიდან. ისინი პირში  
მიჩერებოდნენ სულგანაბულნი; რამდენიმე წუთის შემდეგ

ყველამ ერთხმით წამოიძახა:

— ღვთისმშობელო დედა!

სახლის პატრონის ცოლმა ამოიგმინა **მარტოვნი**

— იქნება თქვენა ტყუით?

— თქვით, თქვით ღვთის გულისათვის!

— არა ცაზედაც რო წელს სულ საღაც ნათელი სვეტები  
მოჩანდა! წარმოთქვა ერთმა გლეხმა იმედინათ.

— ეს მხოლოდ ხმებია, — ვუთხარ მე, — შეიძლება სულ  
ტყუილიც გამოდგეს...

პრომტოვმა გაკვირვებით შემომხედა და თქვა.

— როგორ თუ ხმები, როგორ თუ ტყუილი გამოდგეს?

ამის შემდეგ ის მოყვა უსინდისო ტყუილებს, მაგრამ  
მსმენელთათვის კი სასიამოვნოს. ის თხზავდა ძლიერ მოხე-  
რებით. გლეხები მზათ იყვენ პირში შეცვივოდნენ პრომ-  
ტოვს. მაგრამ მე კი მალეღვებდა ეს სიცრუე, რადგან შე-  
საძლებელი იყო ამას გლეხებისთვის დიდი უბედურება მიეტანა.  
მე გარეთ გამოვედი და დავექე, თანაც ვფიქრობდი, როგორ  
გამომეაშკარავენა პრომტოვს ტყუილები. მისი ხმა დიდ ხანს  
ჩამზუზუნებდა ყურში, ბოლოს დამეძინა...

მზე უკვე ამოსულიყო, როდესაც პრომტოვმა გამაღვიძა.

— ადე, მივდივართ — მითხრა მან.

ჩვენ გამოვემშვიდობეთ სახლის პატრონს და წაველით.  
პრომტოვი ძრიელ მხიარულათ იყო, ის მდეროდა, უსტვენდა  
და დაკნინით მიყურებდა მე გვერდზე. მე ვფიქრობდი, თუ  
როგორ დამეწყო პრომტოვთან ლაპარაკი და მივდიოდი გა-  
ჩუმებული.

— რაღას უყურებ, რატო არ მაცვამ ჯვარზე? მითხრა  
უცებ პრომტოვმა.

— თქვენ ხო გრძნობთ, რომ ღირსი ხართ მაგისი? ვკი-  
თხე მე გაჯავრებული კილოთი.

— რასაკვირველია... მე მესმის თქვენი აზრები და ვიცი,  
რომ მზათა ხართ მაწამოთ... თუ გასურთ, იმასაც გეტყვით,  
როგორ უნდა მოახერხოთ ეს. გინდათ? მაგრამ — გირჩევთ კი  
თავი დაანებოთ.

არა, რა არის იმაში ცუდი, რომ გლეხებმა იოცნებონ?  
მათ ხომ ამით ქკუა არ მიემატებათ, და მე კი მოგებული ვარ.  
აბა შემოხედეთ ჩემ პარკს, როგორ მაგრა გაქედეს!

— ხომ შეიძლება, რომ მაგარ-მაგარი მოხედეთ!

— არა მგონია... მერე რა, თუნდ მაგრაც იყოს, რაში  
მეკითხება მე სხვათა ბეჭები? ნეტა მე ჩემსას გავუფრთხილდე. ეს,  
რასაკვირველია, სამართლიანი არ არის, მაგრამ რაში მეკითხება  
რა არის სამართლიანი და რა არა. დამეთანხმეთ, რომ მე ამას-  
თან არავითარი საქმე არა მაქვს!

— არა! ვიფიქრე მე, მგელი არა ტყუის.

— ვთქვით, რომ ისინი ჩემი მიზეზით დაიტანჯენ, მერე  
რა, განა ცა ისევ ლაყვარდი არ იქნება და ზღვა კიდევ მლა-  
შე?

— ნუ თუ არ გენანება?

— მეც არავის ვებრალები. მე ვარ მოწყვეტილი ფოთო-  
ლი და ვის ფეხებ ქვეშა უშვებდები ქარი, ყველა მთელავს.  
პრომტოვი ამ დროს დაფიქრებული იყო, მისი თვალები  
ბოროტათ ელავდნენ.

— მე ყოველთვის ასე ვიქცევი, ზოგჯერ უარესათაც.  
სარატოვის გუბერნიაში ერთ გლეხს, რადგან ის ძუნწი იყო,  
დავალეინე სელის ზეთი, რომელშიაც მოვახარშინე კიები. ვინ  
იცის, რამდენი სასაცილო და ბოროტი ჩავიდინე სოფლებში  
თრევის — დროს. რამდენი ცრუმორწმუნეობა და სისულელე  
გავავრცელე ზალხში. საზოგადოთ მე არა მაფერხებს რა... ან  
რისთვის. რა კანონების ძალით, გვითხავთ თქვენ? გარეშე ჩე-  
მსა არ არის კანონი! ეს ჩემი ღრმა რწმენაა.

— კი რამეებსაც იკეხით...

— უღლებს, რასაკვირველია, მაგრამ მე კეთილსაინებო-  
თა შეხედულობისა არ გახლავარ. და ასეცა მგონია, რომ თუ  
კეტითა მცემენ; მე ჯობით უნდა ვუპასუხო.

მე ვუსმენდი პრომტოვს და თან ვფიქრობდი, რომ გა-  
ვიხსენო პირველი ფსალმუნის დავითისა და მოვწოდებდი ამ ცო-  
დვილის გზას. მაგრამ ძალიან მინდოდა შემეტყო მისი ისტო-  
რია.

მე გავატარე მასთან სამი დღე და ბევრ იმისთანა რაშიმე  
დავრწმუნდი, რასაც წინეთ მხოლოდ ვგრძნობდი ეჭვით. ასე,  
მაგალითათ, მე ვაკვირე როგორ გაჩნდა პრომტოვის ტოპრაკაში  
რალაც ძველი ნივთები: შანდალი, შალაშინი, ლენტის ნაქ-  
რები. მე მივხვდი, რომ ჩემი გვერდები განსაცდელში იყო და  
შეიძლებოდა ამომეყო თავი იქ, სადაც მოექცევიან ხოლმე  
პრომტოვის მხგავის კოლექციონერები. მე უნდა ვაფშორებო-  
დი მას... მაგრამ მასი ისტორია!

და აი ერთ დღეს, როდესაც საშინელი ქარი თითქმის გვი-  
ტაცებდა, ჩვენ შევძვერით ერთ ორიგის ძირში. აქ მიამბო პრო-  
მტოვმა თავისი ცხოვრების ისტორია...

(შემდეგი იქნება)

ს ა ზ ლ ვ ა რ უ გ ა რ ე თ .

**სამხრეთ-აფრიკის. ომი**, ინგლისელებმა ხმა გააფრთხელეს,  
რომ ტრანსვაალელებს და არანელებს შორის არავითარი თანხმობა  
არ არის საფის საქმეშია. ამას გარდა წერდენ, რომ სამხრეთ-  
აფრიკაში შეიქმნა ბურთა უფროსნი არავითარ ურთოდებს არ  
აქტევენ კრიუკერს, ლეიდს და ეველს იმათ, ვინც ევროპაში იშუ-  
ფებანო. ორივე ეს ამბავი ტუილი გამოდგა. ტრანსვაალელები და  
არანელები უერთი-ერთმანეთთ არაფრის გაკეთებას და არა საქმის  
დაწყებას არ იფიქრობენ. კრიუკერს კიდევ წერილი მოუგდა  
სამხრეთ-აფრიკადგნ, რომელშიაც ატეობანებენ, სომ უთქვენოდ  
არავითარ გადაწყვეტილებას არ დაუდგებთო. ინგლისელებს ძალიან  
უნდათ, რომ მოლაშარაკების საქმეში კრიუკერი არ ჩაერიოს. მაგრამ  
ბურები სულ სხვანაირათ იფიქრობენ: კრიუკერის თანხმობას ყველა  
საქმეში საჭიროთ თვლიან.

ბურთა წინამძღვლებს შორის მოლაშარაკების ჩამოგდებას შდეგ-  
ბურგერის მოწადინებულები. აი, რას ატეობანებენ გერმანელ გაზე-  
თებს ლონდონიდან: „ბრეტარიიდან მიღებულ ცნობებით შდეგ-  
ბურგერის შეცდინებამ უნაყოფოთ ჩაიარა. შდეგ-ბურგერი ურ-  
ჩვედა ბურთა წინამძღვლებს, დაჯერებდნენ ავტონომიას და და-  
მოუკიდებლობა აღარ მოეთხოვათ. შტეინმა, დელარეიმ, დევეტმა  
და ბოტამ ეოველივე უარევენ და სრული დამოუკიდებლობა მოი-  
თხოვეს. მხოლოდ იმ პირობით შეუდგებთ მოლაშარაკებს საფის  
ჩამოსაგდებათ, თუ სრულს დამოუკიდებლობას აღგვითქვამენო,  
უთქვამთ მათ. რაც შეეხება ინგლისელებს, მართეულთა წრეები არ  
ბანაკათაა გაყოფილი. ერთის ახრით ბურების საქმე წაკებულება,  
დიდ-ხანს ბრძოლას ისინი ვეღარ შეძლებენ. შეარყევი დარწმუნებუ-  
ლება, რომ ბურები ჯერ კიდევ დიდ ხანს შეძლებენ ომის განგრძო-  
ბას“. საუურადღებოა ისიც, რომ საფრეთ ლაშარაკი ბურებს კი არა,  
ინგლისელებს ჩამოუგდათ. ამბობენ, ინგლისმა შეამარ ბურებთან  
რომ ვერაფერი გააწეო, ესეა ევროპაში შეიქმნა ბურებს საშფალებას  
მიცემს აფრიკაში თავის დენერლებს გამოელაშარაკებნო.

**საფრანგეთი**. ნაციონალისტები ძალიან გააფრთხელდნენ არიან  
ბარტუსეთ, რომელმაც ამას წინათ სიტუვა წარმოქმნა და საშინლათ  
გაკიცხა ნაციონალისტები. ბარტუ დღემდე ნაციონალისტთა დასის  
მომხრე იყო, მაგრამ ესეა გადაუდგა და საშინისტრის მიემხრო.  
აი, ბარტუმ როგორ შეაშეო ნაციონალისტები: „ნაციონალიზმი, —  
თქვა მან, — დასი არ არის, რომელიც ჩვეულებრივ განსაზღვრულ  
დაქტრინას ადგია და რომელსაც საკუთარი შეთოდი და პრეტრამა

აქვს. იგი უწესრიგო კოალიციას სასწარმეკეთილებისა, გამწარებისა,  
უკმაყოფილებისა, შატე-მოყვარეობისა და უბოძრადობისა წინა-  
ხანობისა. ნაციონალიზმს ერთ ბანაკში მოყვრება ნაციონალისტების  
დასახადი და ჩამორჩენილი სოციალიზმი იდეები. გზა-დაკარგული  
ფრანკმანსონები ტეობლათ უდიდის უკმაყოფილო კონგრეგაციონისტებს.  
კომუნის წევრებთ ეოფილნი უმეგობრდებიან სამხედრო მინისტ-  
რებთ ეოფილთ. მოუნაღთაფი ებრაელები ანტისემიტოზმს ქადაგებენ.  
16 მაისს დათხფენილი მინისტრები ხელს უწოდებენ შესარიგებლათ  
რეაქციონერთ, რომელსაც პირველნი თანამდებობადგან განდევნეს.  
მთლათ ეს კოალიცია რესპუბლიკის წინააღმდეგაა ამხედრებული;  
სულს მათ მებრძოლი ვლერიკალიზმი უდგამს. ამიტომ ეოველივე  
დაახლოება ნაციონალიზმთან, იმასთან საქმის დაჭერა დასაშულობას  
რესპუბლიკის წინაშე“. რადა ლაშარაკი უნდა, ბარტუს სიტუვები  
არაფრათ ეკაშნიკებოდათ ბ-ნ ვლერიკალებს. ავი კიდევ ამიტომ  
კიტხავენ და უდიდის სიტუვებით იხსენიებენ ბარტუს.

**ოსმალეთი**. არეულობათა გამო ბალკანეთს, ოსმალეთი  
დიდ სამხედრო მოხდებს შეუდგა. დღემდე, მაგალითათ, იფრსეთ  
დაუეკნებია და სომხრათ გაუმხადებია ოცი ბატალიონი სთადარიგო  
ჯარისა. ეს ჯარი მოსახლურე ვილაეტებშია, ამას გარდა, 22 მარტს  
კონსტანტინუპოლში მისულა მცირე აზიიდან ოთხი სხვა ბატა-  
ლიონი, რომელიც რუმელიის საზღვარზე გაუგზავნიათ. ოსმალე-  
თის მთავრობა კარგათა ხელს საქმის გამწვავებას შეკედობიაში და  
მოელ თავისს იმედს ჯარზეთ ამფარებს. ჯარის გარდა სხვა ზომებსა  
და საშფალებებსაც არ ქრიდება მთავრობა: ისტუმრებს ოსმალეთიდან  
საეჭო ვაგებს, ანტიმრებს მრავლათ ვითომ და მოდალატებს,  
ჭრდაღვს გაზეთებს. ამას წინათ, მაგალითათ, მთავრობას კონსტან-  
ტინუპოლში სრულიათ აუკრძალავს უცხო-ქვეყნის გაზეთები. დღემ-  
დე ასეთი გაზეთები აღკრძალული იყო მხოლოდ სტამბოლში, ე. ი.  
კონსტანტინუპოლის იმ ნაწილში, სადაც ოსმალნი ცხოვრობენ,  
ესეა გაზეთების შეტანა აღკრძალულია პერსიაში, იმ უბანში, სადაც  
ევროპული სასტუმროები და რესტორანებია. აღკრძალულია გერმა-  
ნული, ავსტრიის და ფრანგული გაზეთები. ტერრორს კონსტან-  
ტინუპოლში ჯერ არ მოელო ბდლო. მრავლისაგან-მრავალ ხელს  
ანტიმრებს და ამწედევენ. მარშალ ფუად-ფაშის დანტიმრების  
შემდეგ ოსმალეთის მთავრობა აღარაფერს ქრიდება და ხან სახე-  
ლმწიფო მოღვაწეს, ხან დიდ მოხელეს და ხან კიდევ ლერენას  
უგრავს ხოლმე თავს საშერობილში. კანონსა და სამართალს უურა-  
დლებს და დარაფინ აქტევს.

სერბ იელ გაზეთებს თუ დაუჯერებთ, რველიურცია ოსმალეთში  
აუწოდებულება. მაკედონიას, ალბანიას და სხვა პროვინციებში,  
იმთი სიტუვით, მშვიდობიანობის დამფარება შეუძლებულია. ოსმა-  
ლეთს არც ძალ-უძის წესიერებისა და მშვიდობიანობის აღდგენა.  
ესეც კია, ძნელი დასაჯერებელია სერბიელ გაზეთების მიერ გაფრე-  
დებული ამბები. ავსტრიელ გაზეთების სიტუვით, სერბიელი გა-  
ნკებ აზვიადებენ საქმეს.

**ჩინეთი**. „დაწინარებული“ ჩინეთი ხელახლა შოთთავს. ხან  
აქ, ხან იქ ამოყოფენ ხოლმე თავს მუამობჩენი და უღეტენ ქრის-  
ტიანებს და მისიონერებს. მუამობჩეთა უმრავლესობანი თითქმის  
ყოველთვის ამა თუ იმ საიდუმლო საზოგადოების წევრებს შეად-  
გენენ. გამოჩნდნენ დაწიოკების შემდეგ მიმალულმა „მოკრიფებთ“  
მათ სხვა საზოგადოებანიც ეხმარებიან. შესანიშნავია მათ შორის  
„წითელი ფარის“ საზოგადოება. ამასთან მუამობჩენი ხელის  
საჭარებლათ თათს ხერხს ხმარობენ. განტანში ესეა რადაც სენი  
მძინავრებს. ხმა გააფრთხელეს, რომ უცხო-ქვეყნელებმა „მარლი  
წახდინეს“ და სენი ამიტომ განხდა ამ ამბავს ძალიან ადელვა  
თურმე ჩინულები.

† დ. ს. საპიაზინი.

პარილის 2-ს ნაშუადღევის 1 საათზე, როცა შინაგან სა-  
ქმეთა მინისტრი შედიოდა მინისტრთა კომიტეტის სადგომში,

მარინეს სუსხლოში, მინისტრს შეხვდა შვეიცარიის ოთახში და დაბეჭდილი პაკეტი მიცა ვილაც უცნობმა კაცმა, რომელიც მინისტრის წინააზრამდენისაზე წაით მოვიდა კარეტიო, სამხედრო მუნდარიო და უცდიდა მინისტრს. პაკეტის მიცემისათანავე ამ უცნობმა კაცმა ოთხჯერ ესროლა რევოლვერი და ოთხჯერ მძიმეთ დაჭრა მინისტრი; ეგერმესტერი სიპიაგინი. დაჭრილი გადიყვანეს მაქსიმოლიანეს სამკურნალოში და მაშინვე მიეშველენ ექიმები ველიამინოვი და ტროიანოვი, მაგრამ ეგერმესტერი, მინისტრი სიპიაგინი, ერთი საათის შემდეგ გადაიცვალა. გამოძიება წარმოებს. გამოკვლეულია, რომ ბოროტ-მოამქმედი არ არის სამხედრო კაცი, ხოლო საადრეუტანტო ფორმა იმიტომ ჩაუტყვამს, რომ უფრო ადვილათ მიეშვათ მინისტრთან.

დ. ს. სიპიაგინი დაიბადა 1853 წელს, ასე რომ სულ 49 წლისა იყო. დაასრულა თუ არა კურსი პეტერბურგის უნივერსიტეტში, მაშინვე შეუდგა სახელმწიფო სამსახურს შინაგან საქმეთა სამინისტროში. შემდეგ საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზზე გამოვიდა და მსახურებდა მოსკოვის გუბერნიის ეოლოკოლოამის მაზრის საერობო დაწესებულებებში. 1884 წელს დ. ს. სიპიაგინი არჩეულ იქნა მოსკოვის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლათ. 1886 წელს სიპიაგინი კვლავ დაუბრუნდა სახელმწიფო სამსახურს და დანიშნა ხარკოვის ვიცე-გუბერნატორათ; 1888 წელს გადაყვანილ იქნა კურლიანდიაში გუბერნატორათ; 1891 წელს დანიშნა მოსკოვის გუბერნატორათ. ორი წლის შემდეგ 38 წლის სახელმწიფო მოღვაწე გამოიწვიეს პეტერბურგს და დანიშნეს სახელმწიფო ქონებათა მინისტრის თანაშემწეთ, ხოლო 1894 წელს — შინაგან საქმეთა მინისტრის თანაშემწეთ. ერთი წლის შემდეგ, 1895 წელს, სიპიაგინი ინიშნება მისი უდიდებულესობის საკუთარი კანცელარიის მართველათ და, ბოლოს, 1899 წელს მას ჩაებარა შინაგან საქმეთა სამინისტროს მართვა.

### რუსეთის ცხოვრება.

„ზრავიტ. ვესტნიკ.“-ში დაბეჭდილია ფრცელი ანგარიში იმ სხდომის, რომელიც ქონია უმადლესთ დაარსებულ საგანგებო კომიტეტს 2-ს, 9-ს და 26 თებერვალს.

კომიტეტის თავმჯდომარემ, ფინანსთა მინისტრმა ვიტტემ, აღნიშნა, რომ კომიტეტის საგანია განხილვა სასოფლო მრეწველობის საჭიროებათა და რომ ეს საკითხი მოითხოვს სოფლის ცხოვრების ფოველმხრივ გამოკვლევას. შემდეგ დაუენა სამი კითხვა: 1) რა და რა საკითხები უნდა გაარჩიოს კომიტეტმა; 2) რა წესითა და რიგით იმუშაოს და 3) საჭიროა თუ არა კომიტეტი დაეკითხოს იმპერიის სხვა-და-სხვა ადგილობრივ დაწესებულებათა და შირთ და, თუ საჭიროა, როგორ მოხდეს ეს შეკითხვა.

შირველი საკითხის შესახებ, ესე-იგი, რა და რა კითხვები უნდა გაარჩიოს საგანგებო კომიტეტმა, ფინანსთა მინისტრმა განაცხადა: ეჭვს გარეშეა, რომ კომიტეტმა უნდა გამოარკვიოს საჭიროებანი და მოთხოვნილებანი სასოფლო-სამეურნეო მრეწველობისა, რაც შეიძლება ფართოთ და სავსებით. სასოფლო მეურნეობისათს შეკავშირებულა ეველა მხარე სახელმწიფო ცხოვრებისა. ამიტომ საგანგებო კომიტეტი ვერ აცდებს ამ მხარეების განხილვასაც, მაგრამ მისი შირდაშირი დანიშნულებაა გამოძიებოს შრაკტიკული დონისძიებანი, რომელთა საშუალებით შეიძლება დახმარება აღმოჩინოს სასოფლო მეურნეობას; ხოლო თუ რამე საზოგადო სახელმწიფო საგანი აღიძრა, იმის შესახებ კომიტეტი ვერაფერს ვერ გადაწყვეტს; მხოლოთ თავის მოსაზრებას წარუდგენს მის იმპერატორებთს უდიდებულესობას.

ფინანსთა მინისტრის აზრს მიემხრო შინაგან საქმეთა მინისტრი და იმპერატორს განუცხადა, რომ კომიტეტის საგანი

მტკიცეთ არის განსაზღვრული, მაგრამ, უაჭველა, წამოყენებული იქნება საზოგადო-სახელმწიფო საკითხები და მათ განხილვასაც ბეჭითი უურადლება უნდა მიატყოს კომიტეტმა.

ამგვარივე აზრი წარმოთქვა მიწათ-მექმედების მინისტრმა ურმოლოვმა და დაუმატა, რომ კომიტეტის საქმეები ორთ განიყოფება: საზოგადო-სახელმწიფო კითხვები და შრაკტიკული დონისძიებანი მხოლოთ სამეურნეო-მრეწველობის შესახებ; მაგრამ ორთავე საკითხებს საერთო მნიშვნელობა აქვს; თუ გვინდა რომ რამე ვაკეთდეს, ეველა საკითხები უნდა განვიხილოთ და არ შევეშინდეთ სიძინელეს.

ამის შემდეგ საგანგებო კომიტეტს გადაწყვიტა შეადგინოს შრეგრამა კომიტეტის მეტადინებლის სახელმძღვანელოთ და შრეგრამის შედგენა დაავალა ტ. სოვ. კოვალევსკის. ამავე შრეგრამამ უნდა გასცეს მასუბი მეორე აღქმულ კითხვასაც — რა წესითა და რიგით იმუშავებს კომიტეტი.

მესამე კითხვა იყო — საჭიროა თუ არა კომიტეტი დაეკითხოს დაწესებულებათა და კერძო შირთ? ამის შესახებ კომიტეტმა განაცხადა, რომ ადგილობრივ დაწესებულებათა და შირთა დაკითხვა აუცილებლათ საჭიროა; ისეთ საკითხში, როგორც არის სოფლის მდგომარეობა-საჭიროება, ძხელაი რამე გადაწყდეს, თუ წინ-და-წინვე არ ეკითხა დაწესებულებათა და შირთ, რომელთაც დაახლოვებით იციან სოფლის მდგომარეობა, ამიტომ ერთხმათ გადაწყდა: დაარსებულ იქმნას იმპერიაში საგუბერნიო და სამაზრო კომიტეტები, რომელთაც დაუვალებათ: ადგილობრივ განხილონ სოფლის მრეწველობისა და ხაღის კონომიურ მოღვაწეობის მდგომარეობა-საჭიროებანი და თავიანთი მოსაზრებანი წარუდგინოს საგანგებო კომიტეტს.

შემდეგ კომიტეტმა გადაწყვიტა, სახელდობრ სდ დაარსდება ამიერი კომიტეტები და ვინ იქნებიან მათი თავმჯდომარე და წევრები. ეს უვეე იყო დაწერილებით დეპუტაში გადმოცემული და ამიტომ ჩვენ ძოვევავს მხოლოთ ამიერ-კავკასიის შესახებ გადაწყვეტილება.

ამიერ-კავკასიაში საგუბერნიო კომიტეტები არსდება მხოლოთ ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებში; მაგრამ კავკასიის მთავარ-მართებულს ნება მიეცა დაარსოს კომიტეტები, თუ საჭიროთ დაინახავს, ამიერ-კავკასიის სხვა გუბერნიებს და ოლქებშიაც. სამაზრო კომიტეტები ჩვენში არ არსდება. ტფილისისა და ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტები შედგებიან შემდეგ შირთავან: თავმჯდომარეებათ იქნებიან გუბერნატორები, წევრებათ-ვა: თავად-აზნაურთა საგუბერნიო და სამაზრო წინამძღოლები, საგლეხო საქმეთა საკრებულოების წევრები, სხაზინო ზალატებისა და სახელმწიფო ქონებათა მართველი, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათა თავმჯდომარენი და აკრეთვე ეველა ის შირნი, რომელთა მხაწილებას სასარგებლოთ დაინახავნ გუბერნატორები ან ისინი, ვისაც თვით საგანგებო კომიტეტი დასასულებს.

— ბეტერბურგის ორასი წლის დღესასწაულისთვის ქალაქში შემოდებულ იქნება არა თუ ეველასთვის ხელმისაწვდომი სახაღხო შირველდაწვებითი სწავლა, არამედ უფასოც.

საოუბილეო კომისიამ დაადგინა — წარუდგინოს სხვა კითხვათა შირის ქალაქის საბჭოს გადასაწყვეტათ კითხვა შესახებ შირველდაწვებითი უფასოთ სწავლის შემოდებისა 1903 წლიდან.

— უვეე იხილავნ შრეკტს შესახებ სასოფლო სამეურნეო სწავლის შემოდებისა ქალთა სასწავლებლებში.

— როგორც ვაზ. „კიუვლიანინი“ წერს, კაზანისულის დამდევიდან შრავალი ებრავლი ესახლება რუსეთის დასაღვლეთ გუბერნიებიდან ამერიკაში. გადასახლების მიზეზი მათი უკიდურესი სიღარიბე უოფილა; რომელიც ჩამოვარდა მის შემდეგ, რაც კაბრიკო მრეწველობა განვიორდა ზემოსხენებულ გუბერნიებში.

— „კიუვს ვაზ.“ იუწება, დასურა კიუვის ზოლიტუნხიკუმის სტუდენტების მიერ დაარსებული საზიე და ბიბლიოთეკა-

— შთავრებას განსახება აქვს გადააკეთოს გარეშე საქმეთა სამინისტროსთან არსებული ადმინისტრაციული ენების კურსები; სახელდობრ, ახორციელებს კურსების მაგიერ ადმინისტრაციული ენების დამოუკიდებელი და სრული აკადემიის გასწავლას, რომელიც სამხედრო სამინისტროს დაქვემდებარებაშია. ამ რეორგანიზაციის პროგრამის შემუშავება განსაკუთრებულად კომისიას დაუვა.

1897 წელს ნატიშროთა საქველმოქმედო ქალთა კომიტეტის ხელმძღვანელმა იქნა ქ. ნ. ბეგლარდის მოხსენება. ამ მოხსენებაში შედარებული იყო ციხის ნატიშროთა და სხვადასხვა უწყებებში დამწვევლებთან მდგომარეობა. ამ მოხსენებამ თავის დროზე რამდენიმე სასარგებლო ცვლილება შეიტანა ნატიშროთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მაგრამ ამან მანამ ძირითადად ვერ შეტევდა საქმის მდგომარეობა. ამ ყაზთ ნატიშროთა საქველმოქმედო კომიტეტს, რომელიც შედგება ქალებიდან შეუერთდა მამაკაცთაგან შემდგარი ნატიშროთა დამხმარე კომიტეტი. ამის გარდა საბჭოს სარევიზიო კომისიამ, რომელიც ნატიშროთის სახელმძღვანელო მოახდინა, აღძრა ამის შესახებ კითხვა ქალაქის საბჭოში. სახელმძღვანელოში მამაკაცებთან შედარებით უფრო ცუდ მდგომარეობაში ნატიშროთა ქალები ყოფილან. მათთვის მიჩენილია ერთი ოთახი, სადაც უხეიარ ქალებთან ერთად ამწვევლებს ევკლა დასახლებს ნატიშროთისა. ამის გარდა ქალების სახელმძღვანელო ოთახი არ არის განსაკუთრებული მამაკაცების ოთახიდან, მათ აერთებთ საერთო კარიდარი და მიჩენილი ყავთ მისამსახურებთან კაცები.

ამ დღეებში ქალაქის საბჭოს სარევიზიო კომისიამ შეამდგომლა წარადგინა საბჭოში, რომ შემოხსენებული კითხვები, რაც შეიძლება, მალე იქნეს განხილული.

**სამშობლოს ცაზე.**

იმედი გაგვიმარაღდა! როგორც ჩვენ განთქმულ სტუმართ-მოყვარეობას შეეფერება, ისე გაუმსახინძლით 140 უცხოელ სტუმარს, რომელნიც ეწვიენ ჩვენ დედა ქალაქს წარსულ კვირაში. თამადის ადგილი დაიჭირა, რასაკვირველია, თფილისის თვითმართველობამ. წინ გაუშალა, როგორც ამის მოითხოვდა მისი წესი და ჩვეულება, შეფერადებული სუფრა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ თფილისში მოიპოვება. ამბობენ, უცხოელები დიდი განცვიფრებით გავიდნენ თფილისიდან. მათ თან წაუღიათ მრავალი კოლექცია, რომელიც შემოხსენებულ ნადიშე მიუერთმეგია მათთვის ჩვენ ქალაქს. ამ კოლექციაში მათი ყურადღება მიუბრუნდა არა ჩვეულებრივ ნივთთა შორის თფილისის ქუჩების ფქვილივით წმინდა მტვერს. და იალბუზისოდენა ქვების ყორეს. საგანგებო თარჯიმანს დაუკმაყოფილებია სტუმრების ცნობის მოყვარეობა და აუხსნია, რომ მტვერს თფილისის „გრავდანიები“ ზაფხულობით ბუდრათ ხმარობენ, ხოლო ქუჩის ყორებს კი შუბლისთვის სამთხვევათ, ყინაიდან ზოგიერთ მათგანს ქაბაში წასვლა აღკრძალული აქვსო.

გარდა შემოხსენებულ ნივთიერებათა უცხოელების თვალის ჩაუზინდია (და არა მიუზინდია!) იმავე ქუჩების უფსკრულებს. აქ კი თარჯიმანს ერთი ხალხური ლექსი მიშველებია და დაუმღერებია ოროველას ხმაზე:

„შავს კლდეს ჩვენი თფილისი  
ჩავა და ჩაქანება,  
ჩავა და ღეშით გაძდება,  
ამოსვლას დაეზარება“.

არა ნაკლები ყურადღება მიუბრუნდა, არა ნაკლებათ საკვირველ შემოდგომის წუმპვებს, ე. ი. თფილისის „ვოლოპრივოდებს“, სადაც წყალი ხშირათ შრება და ტალახი კი არა.

კოლექციაში მოქცეულია თფილისელი ყაბბების ცრემლფიც, რომელთაც, როგორც ვიცით, ხმოსანმა ბაბოვმა საბჭოს

რამდენსამე კრებაზე შეწირა რამდენიმე „რევი“, რომლითაც ამტკიცებდა, რომ გირეანქა ხორცში ნახევარი ცენტრის კანონიერ მოვლენათ უნდა ჩაითვალოს. და ამის დასაბუთებას რომ უნდა 15 კაპეის აღემატებოდეს, თუ გვინდა, რომ ჩვენ ყაბბებს მუცელი არ დაუსკვთ და ლოყები არ დაუყვითლდეთო.

ერთი სიტყვით თფილისმა გვასახელა, გვასახელა შინ, გვასახელა გარეთ და იმედია უცხოელები აუწყებენ ევროპას:

რამ სადაცა ერთსა ქვეყანას  
ყოფილა თფილის ქალაქი,  
ჩვენ ვერუჭვთ, მაგრამ  
იქცა უოლიათ კაი დალაქი!

\* \*

როგორც ვიცით, კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ ჯერ-ჯერობით მხოლოდ განიზრახა ჩვენ ქვეყანაში სეტყვასთან საბრძოლველი მორტირების გამართვა. არ ვიცით, საიდან გაუგია ტამბოვის გუნდის ერთ რუსს, გვართ ბოლშოვო-ტი-ნოვს, რომ ჩვენში ბევრს მიეძინებათ ხოლმე განზრახვის ბალიშზე. და ამ ჩვეულებრივი სენის ასაცდენათ შეწუხებულა ჩვენი გულისთვის. ამ გულკეთილ ადამიანს კავკ. სასოფ. სამ. საზოგადოებისთვის ამ დღეებში შემდეგი წერილით მაუშართავს: გაზ. „სვეტ“-ში წაფიკითხე, რომ თქვენ გაგიზრახვით მორტირების დადგმა სოფლებში, — ეს მეტის-მეტ შრომას და ხარჯს მოითხოვს. ამიტომ გთხოვთ მიიღოთ ის საშუალება, რომელიც უფრო იაფი და ადვილია. მე გამოვიგონე ლოცვა სეტყვის წინააღმდეგ. თითო კომლს შელოცვის გამოწერა და უჯდება ხუთ მანეთათ და ეს საშუალება საუკუნოთაღ გამოგადგებათო.

ლოცვა მართლაც, როგორც ვიცით, აგრეადვილათ არა ფუძდება არც წვიმისა და არც სეტყვის ქვეშ. მაგრამ უკეთესი იქნებოდა ამ მოწყალე ბატონს სხვაფერი კურთხევა გამოეგზავნა შემოხსენებულ საზოგადოებისთვის. სახელდობრ, როდის უნდა შეუდგეს ხოლმე საზოგადოება ლოცვას, რომ თავის დროზე მოგვეწოდოს საკმაოთ გოგირდი, შაბიამანი და სხვა, რათა რამდენიმე ოც ვერსის სიშორიდან მოსული მევენახენი უკანვე არ ბრუნდებოდნენ ცარიელი, როგორ უნდა და ვისთვის უნდა ლოცულობდეს საზოგადოება, რომ მათგანვე ნაყიდ წამალ-იარაღებს ერთი-ორათ არ ასალებდნენ ვაჭრები შეურნეებზე. როგორ უნდა მომართოს საზოგადოებამ დავითის ქნარი, რომ მათ საზოგადოების საპირველა და სარჩულიც წოდებისა თვისისამებრ შეექნას, თორემ სად „კავკასიის საჩინოვნიკო ჰაერში კოშკების საზოგადოება და სად მხოლოდ სახელათ წოდებული „კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება“.

რიგოლეშო.

**თავისუფლება ნებისა, თუ აუცილებლობა?**

ფსიხოლოგიური ეტიუდი.  
წერილი პირველი.

ქვეყნიერობაზე თუ რამეა საყურადღებო საკვლევი, ამათში ერთი პირველი ადგილი ადამიანის ფსიხოლოგიას უჭირავს; მაგრამ რამდენათაც საყურადღებოა ის, იმდენათ ძნელი გამოსარკვევი. თავისი საკუთარი ფსიხიური ცხოვრება უძველესი დროიდან იქცევდა ადამიანის ყურადღებას, უძველესი დროიდანვე შეამჩნია ადამიანმა, რომ ბუნების დანარჩენ მოვლენათა და ფსიხიურ მოვლენათა შორის განსხვავება იყო, და ამ განსხვავების ასახსნელათ სხვა-და-სხვა თეორიები ჩდებოდნენ და დღესაც ჩდებიან. ერთ ფრიათ საყურადღებო საკითხს ფსიხოლოგიაში შეადგენს ნება და მისი თვისებანი. თავისუფლება და

აუცილებლობა—აი ორი ფილოსოფიური მოძღვრება, რომლებიც ერთმანეთს ეჭიშვებოდნენ, ეჭიშვებიან და ღღესაც ვერც ერთი მათგანი სამუდამოთ ვერა ძღუელა. არსებობს თუ არა თავასუფალი ნება—აი ის კითხვა, რომელიც უძველესი დროიდან იქცევდა და ახლაც იქცევს ადამიანის ყურადღებას. ძველი ინდოეთის ფილოსოფია გარეგანი ბედის უარყოფითა და ამგვარი ქადაგებით: ყოველი ადამიანი თვითონ ქმნის თავისივე მოქმედებით თავის ბედ-იღბალსო, უნებლიეთ აღიარებდა ნების თავისუფლებას. მაგრამ ინდოეთის ფილოსოფიაში ნების თავისუფლება ისე აშკარათ არ არის აღიარებული, როგორც ურიათა ძველ მოძღვრებაში. ურიათა მოძღვრებით როგორც ღვთის მოქმედებაში, ისე ადამიანის ყოველგვარ საქმეში მხოლოდ თავისუფალი ნება მოქმედებს; ღვთის განგებაში არ ურევია არავითარი მიზეზი, გარდა თავისუფალი ნებისა. ასეთივე თავისუფალი ნებით დააჯილდოვეს მათ ადამიანი და მხოლოდ ეს თავისუფალი ნება შეადგენს ერთადერთ საფუძველს მთელი იმ ეპოქისას, რომელიც შეეხება პირველ კაცთა შეცოდებას, მათ დასჯას და მათი ცოდვების გამოყიდვას ღვთისავე სისხლით. თუ მივმართავთ საბერძნეთის ფილოსოფოსებს, ისინი უმთავრესათ უარყოფდნენ ნების თავისუფლებას, როგორც, მაგალითათ, სოკრატი და პლატონი. ევროპის ფილოსოფოსთა შორის ზოგი კათეგორიულად უარყოფს ნების თავისუფლებას, როგორც, მაგალითათ, სპინოზა, რომელიც ადამიანში მარტო გონიერ ავტომატს ხედავდა, ზოგი კი თავისუფალი ნების მომხრეა, როგორც, მაგ., დეკარტი. მეტაფიზიკურ საუკუნეში თავისუფალი ნებას იცავდა გამოჩენილი რუსსო, რომელმაც თავისუფლება ადამიანის ძირითად თვისებათ და საზოგადოების პრინციპათ აღიარა. ამგვარათ მეჩვიდმეტე საუკუნის მიწურულამდე ნების თავისუფლების შესახებ ორგვარი აზრი არსებობდა: ერთი სრულებით უარყოფდა მას, მეორემას იცავდა. მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან მეორე აზრი ნელ-ნელა სუსტდება, პირველი კი ძლიერდება. ჯერ კიდევ ლეიბნიცმა აღიარა: ადამიანს ნება აქვს, მაგრამ ნება გონებას ემორჩილებაო. გეგელი არ უარყოფს თავისუფლებას და ნებას, მაგრამ მათ განვითარებაში ის ხედავს აუცილებლობას და ამგვარათ თავისუფალ ნებას უმორჩილებს აუცილებლობას, რაც იგივე უარყოფაა თავისუფლებისა. მაგრამ ამ მხრივ ყველაზე უფრო საყურადღებო მაგალითს წარმოადგენს კანტი. როდესაც კანტი არჩევს თავის კრიტიკაში სხვა-და-სხვა ანტინომიებს თავისუფლებისა და დეტერმინიზმის შესახებ, ერთ ალაგას ამბობს: ჩვენი მოქმედება დეტერმინიზმს ექვემდებარება, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია თავისუფალი ვიყოთ ჩვენ აბსოლუტურ არსებაშიო. ამგვარათ კანტი იმას ევლარ ამბობს: თავისუფლება არისო, მხოლოდ გვიცხადებს: თავისუფლების არსებობა შესაძლებელია; შემდეგ განაგრძობს: ჩვენ არავითარი საბუთი არა გვაქვს თავისუფლების არსებობის დასამტკიცებლათ, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია გვწამდეს ჩვენი თავისუფლებაო. ასეთი სიტყვები კანტისაგან ფრიად გასაოცარია. რისთვის დაქირდა ასეთ ღრმა ფილოსოფოსს ამისთანა ლოლიკური ნახტომი? აი რისთვის. თავისი კრიტიკის მეორე ნაწილში ხნეობა კანტმა ააშენა მოვალეობაზე, მოვალეობას კი საფუძვლათ დაუდგა თავისუფალი ნება, რადგანაც უამისოთ მთელი მისი მოძღვრება ხნეობაზე და მოვალეობაზე სრულებით უსაფუძვლო იქნებოდა. ამიტომ ის იძულებული გახდა, ეთქვა: თუმცა თავისუფალი ნების არსებობას არაფერი არ გვიმტკიცებს, მაგრამ ის უნდა გვრწამდესო. ასეთსავე ორ ცვტლ შუა ვარდება ფულიე თავის „La liberté et le déterminisme“-ში; ის ერთი მხრით რწმუნდება, რომ თავისუფალი ნება არ არსებობს, მეორე მხრით ენდობა მისი დამარხვა და სიყვარულსა და ალტრუისტულ გრძნობებს იწვევს იმის შესაჩერებლათ. დღეს თავისუფალ ნე-

ბას მეცნიერებაში ცოტა წარმომადგენელი ყავს, მაგრამ ჯერ-ჯერობით ის არა თუ არ არის სრულებით განდევნილი; მას ისეთი ძლიერი დამცველიც კი ყავს, როგორც ეუნდტის სკოლა გერმანიაში. კანტისა და ფულიეს მაგალითი ჩვენ ადამიანის შემდეგ თვისებაზე გვითითებენ: ზოგიერთი სრუ არსებობის ღრმით ჩააჯდება ხოლომე ჩვენ ბუნებას, რომ მათი შეგნების შემდეგაც კი გვეძნელება მათი გამოთხოვება; ამაზე არის ნათქვამი: შეუჩვეველ ღვთის შეჩვეული ქირი ჯობიაო. ამას გარდა ზოგიერთი შეცდომები საამოა, ადამიანის მანუგეშებელია და, რაც უნდა ბრძანოთ, ნუგემის სიყალბეში დარწმუნება ფრიად სამწუხაროა. შეხედეთ იმ ადამიანს, რომელიც თავის საყვარელ არსების კუბოსთანა დგას, იცის, რომ უნდა მიწას მიაბაროს, მიწაზე მას მნიშვნელობა აღარა აქვს, მაგრამ მარც კუბოს ებლაუქება ორივე ხელებით და არ უნდა, მოიშოროს. ასეთ მიცვალებულს წარმოადგენენ ჩვენი ილუზიები და მათ შორის ნების თავისუფლებაც. ერთი მხრით თავისუფლება—საზოგადოებრივი ცხოვრება თავისუფალ ხელშეკრულობაზე დამყარებული, ადამიანი სრული ბატონი ცხოვრების და თავისი მოქმედების და სხვ.,—მეორე მხრით სრული დეტერმინიზმი და აუცილებლობა, როგორც ბუნებაში, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მოქმედებაში და აზროვნებაშიაც კი,—პირველი თუცა შეცდომაა, მაგრამ საამო შეცდომა, მეორე თუმცა ქეშმარიტება, მაგრამ მეტათ უნუგეშო და ამიტომ ერთბაშათ მოცილება პირველის და მეორის შეთვისება ფრიად ძნელია, მეტადრე მისთვის, ვისაც თავისი საამო ილუზიები სრულ ქეშმარიტებათ მიანდა რამოდენიმე ხნის წინეთ. განვიხილოთ ადამიანის ფსიხიური ცხოვრება და მოქმედება და დავინახოთ, აქვს თუ არა ადამიანს თავისუფალი ნება?

ფილოსოფიაში დიდი ხანია დავა არსებობს იმის შესახებ, თუ თავდაპირველათ რას ვიგნებთ ჩვენ: ფიზიკურ მოვლენებს, ანუ გარეშე ბუნებას, თუ ფსიხიურ მოვლენებს, ე. ი. არსებობს მარტო გარეშე ბუნება თუ მარტო ფსიხიური მოვლენები, და თუ ორივე არსებობს, როგორი დამოკიდებულება სუფევს მათ შორის: მატერიის შემწეობით ვიგნებთ ჩვენს ფსიხიკას, თუ ფსიხიკის შემწეობით მატერიას? ისტორიამ ბევრი იცის ისეთი ფილოსოფოსნი, რომლებიც მატერიის გარეშე ყოველისფერს უარყოფდნენ და ამტკიცებდნენ: ყოველივე ის, რასაც ბუნებაში ვხედავთ, ნამდვილათ არსებობს იმ სახით, როგორითაც ჩვენ ვხედავთო. სამაგიეროთ იყვენ ისეთი ფილოსოფოსნიც, რომლებიც ამტკიცებდნენ: გარეშე ბუნება სრულებით არ არსებობს, ყოველივე ის, რასაც ჩვენ ვხედავთ, ნამდვილათ კი არ არსებობს სხეულის სახით, არამედ ყოველივე ეს არის მხოლოდ ჩვენი ფსიხიკის იდეებია და სხვ. ასეთ ფილოსოფოსთა შორის ყველაზე უფრო კატეგორიული იყო ბერკლი, რომელსაც გარდა ფსიხიურ მოვლენათა არაფერი არა რწამდა და გარეშე ბუნების არსებობას სრულებით უარყოფდა. სხვები კი, როგორც, მაგალითათ, ლოკი, ლეიბნიცი და იუმი, ამტკიცებდნენ, რომ ჩვენ მხოლოდ ჩვენი წარმოდგენების მეტს ვერასა ვხედავთ და მარტო წარმოდგენათა შესწავლა შეგვიძლიაო. შესანიშნავა კანტმა სამუდამოთ დაამტკიცა, რომ ყოველივე ის, რასაც ჩვენ ვხედავთ ბუნებაში, არის მხოლოდ ფენომენი, ანუ ჩვენი საკუთარი წარმოდგენა. გარეშე ბუნების ანუ ნუმენის არსებობას კანტი არ უარყოფდა, ხოლო ამტკიცებდა: ჩვენ არავითარი საშუალება არა გვაქვს, გავიგოთ, თუ როგორი არის ბუნება თავის თავათ, ჩვენ წარმოდგენას გარეშეშეშეშე. ფენომენი, ანუ ჩვენი წარმოდგენა, ნამდვილი კობია კი არ არის გარეშე ბუნების; კანტის აზრით წარმოდგენა შეეფერება ჩვენი აზროვნების კანონებს და არა გარეშე საგნებს; წარმოდგენანი ჩვენსავე გონებას შეაქვს გარეშე ბუნებაში და არა გარეშე ბუნებას ჩვენ გონებაში, გარეშე ბუნება მხო-

ლოთ აღძრავს ჩვენ აზროვნებას, რომელიც თავისი საკუთარი კანონებისა და თვისების მიხედვით ქმნის ყველა ჩვენ წარმოდგენებს. აი კანტის კრიტიკის ღრმა მნიშვნელობა, თორემ კანტამდე ბევრმა დაამტკიცა ის აზრი, რომ ადამიანს მხოლოდ საკუთარი წარმოდგენის შესწავლა შეუძლია. ფილოსოფიურმა კრიტიციზმმა კანტის გზით განაგრძო მუშაობა და დღეს ის აზრი, რომ ჩვენ არავითარი პირდაპირი საშუალება არაგვაქვს გარეშე ბუნების არსებობის დასამტკიცებლათ, მეცნიერების ქვა-კუთხედს შეადგენს. ყოველგან და ყოველთვის ჩვენ ვხვდებით მარტო ჩვენსავე წარმოდგენებს. ამიტომაც ჩვენ თავდაპირველათ ვიცით მხოლოდ ფსიხიური მოვლენანი, მატერიალურ მოვლენათა, ანუ გარეშე ბუნების, ნამდვილათ არსებობა მხოლოდ დედუქციას, რომელზედაც გვითითებენ ფსიხიური მოვლენანი. ჩვენი სულიერი ცხოვრების შესწავლა გვარწმუნებს, რომ ის ერთი მხრით ფაქტია ისტორიული და ამიტომ ნაყოფია თანდათან განვითარების; მაშასადამე უნდა იყოს ისეთი მიზეზი, რომელიც უნდა ავითარებდეს მას; მეორე მხრით უნდა იყოს ისეთი მიზეზი, რომელმაც უნდა აღძრავს, აამუშაოს ჩვენი ფსიხიკა. ყოველივე ამის მიხედვით ჩვენ მივდივართ იმ უტყუარ ლოდიკურ დასკვნამდე, რომ არსებობს გარეშე ბუნება და ის შეადგენს უნივერსალურ მიზეზს, რომელიც ამუშავებს და მასალას აძლევს ჩვენ ფსიხიკას.

მკითხველი ნუ იფიქრებს, რომ მე ვკადაგებდეს პირიტუალიზმს. ბუნებაში მატერიის გარეშე არაფერი არ არსებობს, ხოლო ყოველივე ის, რასაც ჩვენ ვხედავთ ანუ საერთოდ ბუნება იმ სახით, როგორც ჩვენ გვეჩვენება, ნამდვილათ ჩვენ გარეშე არ არსებობს, — ეს ბუნება მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი საკუთარი წარმოდგენაა, მარტო ჩვენ გონებაშია. აქედან ცხადია, რომ ჩვენ თავდაპირველათ ვიცნობთ ფსიხიურ მოვლენებს, მატერიალურ მოვლენათა არსებობა კი მხოლოდ შემდეგი დედუქციას. ეს ისეთი ქეშმარიტებაა, რაზედაც ყოველი მკითხველი დამეთანხმება, ვინც კი ცოტა ღრმად ჩაუკვირდება ამ კითხვას.

ფსიხოლოგია იკვლევს იმ კანონებსა და პროცესებს, რომლებიც გვირკვევენ სულიერ მოვლენათა წარმოშობას და მათზე აშენებულ აზროვნებას ანუ საერთოდ სულიერ ცხოვრებას. უკანასკნელს ახასიათებს თავდაპირველათ შემეცნება; იქ, სადაც შემეცნება არ არის, არ არის არავითარი ფსიხიური ცხოვრებაც. რა არის შემეცნება? ყოველი ნაწილი ფსიხიური ცხოვრებისა შედეგია ხანგრძლივი განვითარების. ამიტომაც განვითარების სხვა-და-სხვა საფეხურზე შემეცნებაც სხვა-და-სხვა არის. რომ აიღოთ რომელიმე იაფანელი და შეადაროთ რომელიმე გამოჩენილ ევროპელს, პირველის შემეცნება სხვა იქნება, მეორისა სხვა. უმაღლეს საფეხურზე შემეცნება იგივე გრძობელობაა. ცხოველთა ერთი წილის შემეცნება ამ საფეხურს ვერ გაცილებია. ნემსი რომ გეჩხვლიტოთ, ტკივილს იგრძობთ. ტკივილის გრძობელობას გარდა, თქვენ გონებაში ჩდება კიდევ, რაღაც ცვლილება, რაც წარმოადგენს შემეცნების უმაღლეს საფეხურს, როდესაც ეს ცვლილება თქვენთვის გამოირკვევა, — თქვენ ხედავთ, რომ ნემსი გეჩხვლიტათ, სისხლი გამოგივიდათ, გავახსენდათ სისხლის დანიშნულება, ფაბრიკები სადაც ნემსები კეთდება, მუშეში და სხვ. ეს არის განვითარებული საფეხური შემეცნებისა. ია შემეცნება კი, რომელიც არსებობს, რომელიმე გამოჩენილ ფილოსოფოსის „მე“-ში რაიმე განყენებული კითხვის რკვევის დროს, არის უმაღლესი საფეხური შემეცნებისა. ამგვარათ უმაღლეს საფეხურზე შემეცნება არას მხოლოდ გრძობელობითი პროცესი, უმაღლესზე კი ის ხდება ფსიხიურ ანუ ადელურ პროცესათ. პირველს იწვევს მხოლოდ გრძობა და უმაღლესს ნერვებიან არსებებში ის იგივე გრძობელობაა; მეორე ნაყოფია იდეათა

რთული ასოციაციის და გრძობელობისაგან სრულებით განირჩევა. რადგანაც გრძობელობა ნერვებს გარეშე, უნერვოდ არ არსებობს, აქედან ცხადია, რომ იქ, სადაც არ არის ნერვები, არც არავითარი გრძობელობაა და მაშასადამე არცაა იმე ფსიხიურა ცხოვრება. ფსიხიური ცხოვრება მკიდრით არის შეკავშირებული ნერვებთან, რასაც ქვემოთ დავინახავთ.

ადამიანის ფსიხიური ცხოვრება მრავალგვარია, მაგრამ შემადგებელია დავყოთ ის სამ მთავარ ნაწილათ: გრძობელობათ, მესხიურებათ და გონებათ (intelligence). ადამიანის მთელი ფსიხოლოგია უბრალო გრძობელობიდან მოყოლებული უმაღლეს განყენებულ აზროვნებამდე ამ სამი ნაწილის ნაყოფია. ამიტომ ნება ჩვენ უნდა ვეპიოთ ან გრძობელობაში, ან მესხიურებაში, ან გონებაში, ან სამივეში ერთათ. რადგანაც გონება ადამიანში იწვევს ხშირათ ამა თუ იმ მოქმედებას, ამიტომ საქირაა, ადამიანის მოქმედებაც განვიხილოთ და დავინახოთ, თავისუფალი ნების ნაყოფია ის, თუ არა. გრძობელობაზე დიდხანს შეჩერება არ დაგვირდება, რადგანაც ყოველი მკითხველი, რანაირი მომხრეც უნდა იყოს ის თავისუფალი ნების, დარწმუნებული იქნება, რომ გრძობელობაში არ არსებობს ნება იმ სახით, როგორც საზოგადოთ მიღებულია: თუ არსებობს გალიზიანება, — გრძობელობაც აუცილებლათ მოყვება მას; მაგრამ, რადგანაც გრძობელობა სულიერი ცხოვრების უმაღლესი საფეხურთაგანია, შეიძლება აქ იყოს ნების ჩანასახიც.

სანამ გრძობელობის განხილვას შევეუდგებოდეთ, საქირაა მოკლეთ გავითვალისწინოთ, თუ საზოგადოთ რას ვუძახით ნებას. საზოგადოთ მიღებულია ის აზრი, რომ ნება განაგებს ჩვენ მოქმედებას. არავინ არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ წარმოდგენანი და წარმოდგენათა ასოციაცია იწვევს ადამიანში სხვა-და-სხვა მოქმედებას, ხოლო თავისუფალი ნების მომხრენი ამტკიცებენ: იდეათა ასოციაცია თავისთავათ კი არ იწვევს ჩვენ მოქმედებებს, არამედ ის ნების მორჩილია; ნება შეადგენს დამოუკიდებელ ფაქტორს, იდეათა ასოციაცია მას აწვდის სხვა-და-სხვა პროექტებს, ამათგან კი ნება ირჩევს რომელიმეს თავისი სურვილისამებრო და სხვ.

თუ კი არსებობს ნება, ის უსათუოთ ჩვენ მოქმედებებს უნდა განაგებდეს, და ჩვენ მართლაც ისე გვეჩვენება, მაგრამ ნების ასპარეზი მარტო ჩვენი მოქმედება არ უნდა იყოს: ის უნდა განაგებდეს აგრეთვე ჩვენ აზროვნებასაც, მას უნდა ემორჩილებოდეს ჩვენი აზროვნებაც. წარმოდგენანი ნებისათვის უნდა შეადგენდნ მხოლოდ მასალას და ამ მასალიდან ნება ყოველ წამს და ყოველ შემთხვევაში უნდა აშენებდეს ისეთ აზრებს, როგორც მას სურს. თუ ერთ შემთხვევაში ჩვენი აზროვნება ერთ მხარეზე მიდის, მეორე შემთხვევაში მეორე მხარეზე, თუ ერთ წამს გვაგონდება ჩვენი ცხოვრების მხიარული მოვლენანი, მეორე წამს კი სამწუხარო და სხვ., ყოველივე ამის მიზეზი ნება უნდა იყოს, თუ კი ის არსებობს. ამასაც რომ თავი დავანებოთ, ადამიანის მოქმედება ერთბაშათ, ექსპრომტათ კი არა ხდება, ხშირათ მას წინ უძღვის გონების მუშაობა, აზროვნება; ამიტომ ვიდრე ნება რაიმე მოქმედებას გამოიწვევდეს, უმაღლეს წამს უნდა წამოაყენოს გონებაში ამ მოქმედების შესაფერი იდეათა კომბინაცია და აზით აღძრავს სურვილი მოქმედების შესასრულებლათ. ამგვარათ თუ არსებობს ნება, როგორც დამოუკიდებელი ფაქტორი ჩვენი ფსიხიური ცხოვრებისა, ის უნდა აწესრიგებდეს ერთი მხრით ჩვენ აზროვნებას, მეორე მხრით ჩვენ მოქმედებას. აქედან თავის თავათ ცხადია, რომ მისი არსებობის ან არ არსებობის დასამტკიცებლათ საქირაა განვიხილოთ როგორც აზროვნების ბუნება, ისე მოქმედების.

მივმართოთ ახლა შემეცნების ზემოთ აღნიშნულ სამ უმ

თავრეს ნაწილს და დაეინახოთ ამ ნაწილების განხილვით, გვე-  
უბნება რამე თუ არა მათში ასეთი დამოუკიდებელი ფაქტორის  
არსებობის შესახებ. დავიწყით გრძობებლობიდან.

რა არის გრძობებლობა? გრძობებლობის გამოცალკევება  
ძნელია, რადგანაც გრძობებლობა იწყება იქ, სადაც შემეცნე-  
ბა, იქ სადაც არ არის გრძობებლობა, არც არავითარი შემე-  
ცნებაა. ამას გარდა გრძობებლობის აღძვრა დიდ ადამიანში მყი-  
სვე იწვევს შემეცნების გაღვივებასაც; მართალია ამ ორ პრო-  
ცესს შორის დრო არსებობს, მაგრამ ეს დრო იმდენათ მო-  
კლვა, რომ ჩვენ მას ვერ ვამჩნევთ და ამიტომაც მეტათ ძნე-  
ლია გრძობებლობასა და შემეცნების შორის საზღვრის დადება.  
როდესაც ჩვენ ვხედავთ რაიმე საგანს ან რაიმე ხმა გვესმის,  
ჩვენ გონებაში აზროვნების აღძვრამდე ცვლილება ხდება: ჩვენ  
ვხედავთ რაღასაც, გვესმის რაღაცა. აი ეს ცვლილება ჩვენ  
გონებაში პირდაპირ გამოიწვევს გარეგანი მიზეზით, ანუ გა-  
ლიზიანებით წარმოადგენს გრძობებლობას. გარეშე მიზეზთა გა-  
რდა ზოგიერთ გრძობებლობის შინაგანი მიზეზებიც იწვევენ  
ხოლმე. ამის მიხედვით გრძობებლობა იყოფა ორ ნაწილად,  
— პირველ ნაწილს იწვევენ გარეშე მიზეზნი პირდაპირ — ამას  
ფსიხოლოგიაში უწოდებენ გრძობებლობას, მეორეს იწვევენ  
შინაგანი — ცენტრალური მიზეზები და ამას უწოდებენ ემოცი-  
ებს ანუ გრძობებს.

როდესაც ბავში პირველათ ხელავს ანთებულ ლამპას, ის  
ხელს აწვდის შუშისაკენ და, თუ მოკიდა შუშას ხელი, და-  
იწივლებს და ხელს გაუშვებს. მის შემეცნებაში ამდროს არა-  
ფერი არ იხატება, მასში ამდროს მოქმედებს მხოლოდ ის  
ელემენტალური ფსიხიური პროცესი, რომელსაც ეწოდება  
გრძობებლობა. ამ უბრალო მაგალითში ორგანიზმი გრძობე-  
ლობაა: ერთია მხედველობითი, მეორე შეხებითი. ლამპამ ბა-  
ვის გონებაში ცვლილება გამოიწვია, ე. ი. მან დაინახა ან-  
თებული ლამპა, ამ ცვლილებამ მას გააწვდენია ხელი ლამპი-  
საკენ; ლამპის შეხებამ ბავშვის გონებაში გამოიწვია მეორე  
ცვლილება, ე. ი. მან ტკივლი იგრძნო, — მაგრამ რა არის  
სათითაოთ ეს ცვლილებანი, ან რას მოასწავებენ სინი, ეს  
ჯერ ბავშს არ ესმის; გარეშე ბუნება ნელა-ნელა შედის იმის  
გონებაში, ახდენს მასში სხვა და სხვა ცვლილებას, მაგრამ ეს  
ცვლილებანი ჯერ მისთვის გამოურკვეველი არიან, ბუნდი  
და წარმავლნი, ბავშვის გონებაში ისინი დიდხანს არ რჩებიან,  
რაც იმით მტკიცდება, რომ დიდობაზე მას სრულებით აღარ  
ახსოვს თავისი პირველი ორი წლის შთაბეჭდილებანი. აი ეს  
გამოურკვეველი და ბუნდოვანი ცვლილებანი, რომლებიც პირვე-  
ლათ ჩნდებიან ბავშვის გონებაში გარეშე ბუნების ზეგავლენით  
წარმოადგენენ გრძობებლობას. ბავში მეორეთაც ასე მოიქცე-  
ვა ლამპის დანახვაზე, მესამეთაც და რამდენიმე ცდის შემდეგ  
თავის შეცთომას აღარ გაიმეორებს. რატომ? გონებაში ხში-  
რათ აღძრული და გამეორებული ცვლილება ნელა-ნელა კვა-  
ლს ტოვებს ბავშვის გონებაში და ამით დასაწყისი ეძლევა  
როგორც იმისი მესხიერების, ისე იმისი შემეცნების განვითარ-  
ებას. როდესაც ბავში რამდენიმე შეცდომის შემდეგ ხელახ-  
ლა ხელავს ანთებულ ლამპას, მხედველობითი გრძობებლობა  
იმის გონებაში იწვევს მოგონებას შეხებითი გრძობებლობი-  
სას და მასთან შეერთებულ ტკივილს, ყოველივე ეს უერთდება  
ბავშვის შემეცნებას და ამით ბავშს აკავებს ლამპისაკენ ხელის  
გაშვებისაგან. დიდ ადამიანში გრძობებლობა და შემეცნება გა-  
ნუშორებული არიან. მაგალითათ, თქვენ დაინახეთ რომელიმე  
საზოგადოებაში სრულებით უცხო ადამიანი. ეს ადამიანი იწ-  
ვევს თქვენ გონებაში ახალ ცვლილებას, ისეთს, რომელიც  
თქვენ წინეთ არ განგიცდიათ. ეს არის გრძობებლობა მხედვე-  
ლობითი მამენტლობითიც, თუ ეს პირი ლაპარაკობს ან გალობს),  
მაგრამ რამდენიმე თვის ბავშვის გრძობებლობისაგან მით გა-

ნირჩევა, რომ თქვენ ამ ცვლილებას თქვენ ღირსებაში გრძობე-  
ლობით, ბავში კი ვერა. ეს ცვლილება გრძობაში გონებაში  
დიდხანს, თუ სამუდამოთ არა. რამდენიმე თვის ბავშვის გონ-  
ებაში კი გრძობებლობა ჯერ ვერ ტოვებს შემეცნებაში  
გაიციანთ ეს ახალი პირი. როდესაც მეორე შეხებულა მას  
აღძრული გრძობებლობა გამოიწვევს თქვენში წარსულ  
გრძობებლობითი სურათებს, თქვენში იწყება იდენტა ასო-  
ციაცია და შემეცნება გეუბნებათ, რომ ეს კაცი თქვენი ნა-  
ცნობია ამა და ამ ალაგას ნახული, ამა და ამ საზოგადო-  
ებაში გაცნობილი და სხვა. თქვენ მაშინ ან ქუდს უხდით ამ  
ნაცნობს, ან ხელს ართმევთ, ან დაელაპარაკებით, — ერთი  
სიტყვით აღძრული გრძობებლობა იწვევს თქვენში ერთი  
მხრით იდენტა ასოციაციას ანუ აზროვნებას, მეორე მხრით  
თქვენ ისეთ საზრიანს მოძრაობას, რომელსაც ფსიხოლოგიაში  
მოქმედება ეწოდება. ადამიანის ფსიხიკის იმ თვისებას, რომ-  
ლის ძალითაც გონებაში იღვიძებს ყველა ის შთაბეჭდილე-  
ბანი, რაც წარსულ ცხოვრებაში მიუღია, ეწოდება მესხიერე-  
ბა. რაზე არის დამყარებული მესხიერება? მესხიერებას სა-  
რჩულათ უდევს ერთგვარი ფსიხოლოგიური პროცესი, რო-  
მელსაც ეწოდება წარმოდგენა. რა არის წარმოდგენა? შეხე-  
დეთ მაგიდაზე რომელიმე ნივთს და შემდეგ დახუჭეთ თვალებ-  
ზე; თქვენ გონებაში აღზდება მკრთალი სახე ამ ნივთისა  
მიუხედავით იმისა, რომ თქვენ მას ვეღარ ხედავთ. ავრთვე  
თქვენ შეგიძლიათ აღიდგინოთ გონებაში მკრთალი სურათები  
იმ პირების, რომლებიც ხშირათ გინახავთ და ამ უამთ კი  
თქვენთან არ არიან, იმ მოვლენების და შემთხვევების, რომ-  
ელთა მოწამეც ყოფილხართ და სხვ. აი ამ წასულის მკრთალ  
სურათს, რომელიც ჩვენ გონებაში ინახება და საქიროების  
დროს აღზდება ხოლმე, ფსიხოლოგიაში უწოდებენ წარმო-  
დგენას. წარმოდგენათა გაღვივებას კი ეწოდება მესხიერება;  
როდესაც ჩვენ გონებაში აღდება რომელიმე ნაცნობის სახე,  
ჩვენ ვაშობთ; ესა და ეს პირი მომაგონდა ან გამახსენდაო.  
როგორც მესხიერება არის დამყარებული წარმოდგენაზე, ისე  
წარმოდგენა დამყარებულია გრძობებლობაზე; იქ, სადაც  
გრძობებლობა არ არის, არც არავითარი წარმოდგენა-გრძობე-  
ბლობა ტოვებს ჩვენ გონებაში ნახულის სურათს, ეს სურათი  
სხვა და სხვა საქიროების დროს იღვიძებს და ამგვარათ  
ჩნდება წარმოდგენა. ამგვარათ მესხიერება არ არის რაიმე  
განკერძობული ფაქტორი ადამიანის ფსიხიკისა, ის მხოლოდ  
გაღვიძებული წარმოდგენაა. ჩვენ შთაბეჭდილებათა აღდგე-  
ნას ანუ წარსულის მოგონებას ჩვენში რაიმე მესხიერება კი  
არ იწვევს, არამედ ან გრძობებლობა, ან ემოცია, ან ისე  
წარმოდგენა. როდესაც თქვენ მიჩრებიხართ სურათს თქვენი  
რომელიმე ნათესავისა, გაგონდებათ ეს ნათესავი, მისი მშობ-  
ლები, ყველა ის პირები, რომლებიც მასთან გინახავთ, ი-  
ალაგები, სადაც ერთათ ყოფილხართ და ბევრი სხვ. აშკარაა  
რომ ყოველივე ამას თქვენ გონებაში მესხიერება კი არ იწ-  
ვევს, არამედ ერთი მხრით უბრალო მხედველობითი გრძობე-  
ბლობა და მეორე მხრით ისევე წარმოდგენა: როგორც  
ქვემოთ დაეინახავთ, ჩვენი ბევრი წარმოდგენა ისე მჭიდროს  
არაიან ერთმანერთთან შეკავშირებული, რომ ერთი რომ-  
ლიმეს აღდგენა ყველა დანარჩენებს აღვიძებს. ამ მაგალითში  
ნათესავის სურათმა აღძრა თქვენში გრძობებლობა, გრძობე-  
ლობამ გამოიწვია ამ პირის წარმოდგენა, ამ წარმოდგენას  
თან მოყვენ ყველა ის წარმოდგენანიც რომლებთანაც  
დაკავშირებული იყო. ეს კავშირი დამოკიდებულია ერთთ  
გამეორებაზე: თუ რამდენიმე წარმოდგენანი ყოველთვის ერთ-  
თათ იხადებოდნენ ადამიანის თავში, ბოლოს მათ შორის მჭიდ-  
რო კავშირი მყარდება და საკმაო ერთი აღზდება გონებაში  
რომ დანარჩენებიც გამოიწვიოს. მაგალითათ, თქვენ ძალი

მოგწონთ რომელიმე ოპერაში ერთი არია. ეს ოპერა თქვენ ხშირად მოგისმენიათ. საქმარასია სრულდებოთ კერძო ალღავს და არა თეატრში გაუკრძალთ თქვინი. საყვარელი არაა, რომ თქვენ გონებაში აღდგეს თეატრი. სადაც ეს არია მოგისმენიათ, არტისტები, რომლებსაც ეს არია უმღერიათ, ის თქვენი ნაცნობები, რომლებთანაც თეატრში ყოფილხართ და სხვ., რადგანაც ყველა ეს წარმოდგენანი ყოველთვის ერთათ ისახე-ბოდენ თქვენ გონებაში, მათ შორის კავშირი ღამიერად და ერთის აღდგენა იწვევს ყველა დანარჩენების აღდგენასაც აუცილებლათ. სხვა და სხვა წარმოდგენანი როდესაც ერთათ შეერთდებიან, წარმოშობავენ იდეათა ასლოციაციას ანუ ჩვენ აზროვნებას. ჩვენი გონება სხვა არაფერია, გარდა იდეათა ასლოციაციისა. გრძობებლობის განხილვაში ჩვენ დავგავიწყდა ემოცია. როგორც ზემოთაც ვთქვი, ემოცია არის ისეთი გრძობებლობა, რამელსაც გარეგანი მიზეზი კი არა აღძრავს, არამედ ტენტრალური. ასეთი ემოციები, როგორც სიმშობილი, შიში, სიხარული, მწუხარება, გულის მოსვლა, ესტეტიური სიამოვნება, სიყვარული და სხვ. — ყოველმა მკითხველმა კარგათ იცის. ემოცია უფრო რთულია, ვიდრე გრძობებლობა და ამასთანავე უფრო ბუნდოვანი; ჩვენ სულიერ ცხოვრებაში ემოციებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვთ.

ი. გომარაული.

(შემდეგი იქნება)

**ზენიზმის ძალთა კითხვის შესახებ.**

ბუფს ესმდება ამას წინათ „კვალში“ მოთავსებული ზეტივ-ცემულ გამართულას წერილი „ოჯახის შესახებ“ — ესმდებათ აგრეთვე ამას წინააღმდეგ „ივერიის“ ოხუნჯობაც... და ის რომ ამ სს-ზოგადობისთვის დაადმა სკანმა ჩემი ფიქრებიც აშალა... უბილთ იყო ოხუნჯობა „ივერიის“, რადგან გამართულს კალმით უზსენობის ქდაგებაში ვითომ აშუღდა, იქით კი, საიდანაც სსამისა საბუთები განცხადებულ არიან, ჟურნალ არ მოუხდენია... ვისთვისდაა დღეს დაფარული, რომ ამერიკაში ქორწინება უბრალო აქტია, გავრაც არა მწელი საქმე — მრავალჯან სხვაგან კი ოჯახი და ქორწინება კანონმდებლობითი სიშავრითაა შეზღუდული. მაგრამ კანა შეიძლება ითქვას ის, რომ ამერიკაში უფრო გარყვნილობა სუფევს, ვიდრე სხვაგან? ზნეობით სიფაქიზე იქა მეტი, სადაც სსზოგადობის შეგნება სქესთა შორის ნორმადობის შესახებ მდლაა დგას. ეს უკანასკნელი კი თან დასდევს განათლებას და არა კანონმდებლობას. მაგრამ თვით „განათლებლსაც“ განათება ჭირდება ამ შემთხვევათა შეგნებისთვის. ჩვენი ხანა ბურჟუაზიულია, ხოლო ამ უკანასკნელმა კი მეტნიერებაც თავისებურათ მონათლავ; ხელდასხვას, ლიტერატურას, სსზოგადო კოიკას თავის ელთერი დასდვა, აწინდელი ტუნხიკა ურ-მოჭრილ ემთ განხდა... ამ გაყლისას თავს რჩეულნი ახვეყენ. უმრავლესობა მთფიქრებით და ზირადი სარკებლობისთვის ემსდნება ამ ხანას — მაგრამ დიდის ის სრცე, რომელიც ყველ შეგნებას მოკლებული თავის დაუკითხველათ ატარებს წუთი სოფელს ამ წეობილებში. დიდი ხანი არ არის, რაც „კვალმა“ ჩვენ ლიტერატურაში ერთ ასეთ ბრუტუტას ბურჟუაზიის ბაირადტრობა შეწმა, ხოლო ამან წიკვინით ქვეყანს აიკლო. გულ-უბრიულად დღესაც ვერ შეუგონია, რომ მოუღი მასი წრის ვითომ და „მეტნიერული“ ნაცისნი ბურჟუაზიულ ზონიერებაზე აღმტყენებულ მსე-ბუნოს დეკლავა და სხვა არაფერი. აი აქედან მომისმის ხოლმე არა ფაქიხური კალმის ფსკუნიც — ლიტერატურული თავ-გამოდება „ქართველ მამასსსსით“, ზრინცინებზე გადამტარ და ვნებათა სავსე ენის ქალთა ტიბებით, შეკვეცილ კაფე-შანტანურ ფორმის მოთხრობათა თარგმნით \*).

დიდებულა ზრუდონის სიტუებები დღესაც დად ნათელსა ფენს

\* ) აიღეთ საყვირო ნომერი „ცნობის ფურცლის“ მარტის 1-ის, სს-ზიზლარ მოთხრობით № 103 და მრავალი სხვაიც.

სემა დასსკლებულ სკანს , იმიტომაც მე მოვიყვან მათ: „უნდა გამოგიტყდეთ, რომ ბუნებრივ უკუდმართობათ მიმანია დღესაც ვნებათა კილო. უველა ის ზრდილობისობა, სოკკერ სსსს და რთოხილიც კი თანამედროვე მწერლობის, როდესაც საქმე ქალთა კითხვის კება, მე მიმანია შედგათ ერთიულ აღმრძინების და არა სიმ-ბტომით კანონიერ წადილთა. უთანასწორებამ მეტათ დაბლა დაყენს დედათ სქესი. სიმდიდრე და უთანასწორობა ზირველი მეტრნი არი-ს ქალთა კითხვის. ბურჟუაზია კანძრას ამდრევეს წეაღს და ამ კითხვის ცდავე აყენებს სოციალურ კითხვიდან. დედაკაცი კი დამტყბას მამაკაცის. ქორწინება და ოჯახი წმიდათა-წმიდას სოცია-ლურ კითხვათა სკერთა გადაწვეკტამდე. ოჯახის წინააღმდეგ მარტა ბურჟუაზიულ ვნებათა ამეოდობას და სხვა არაფერი. ქორ-წინებაც იმდენათ წმიდა უნდა იყოს, რომ ვნებას მასში სულ მეტირე ადგილი ეჭირას. ნამეტნობა ვნებათა აღმრძინების ამ საქმეში სკრ-თით ზრისტიტუციაა. მამაკაცი უნდა შეთავრდეს ნამუსის დაცვაში, ხოლო დედაკაცი ხელს უნდა უწყობდეს და თავს ეკლებოდეს ნამუ-სიანობას... ამიტომ, „იმერებს ზღუდანი“ ქორწინება მე მიმან-ნია წმიდათა-წმიდათ და იგიც გაცილებით მდლაა დგას აწინდელ სს-ზოგადობაზე. ყველ ზეტივისს მამაკაცსაც და დედაკაცსაც უნდა ახსოვდეს ეს. დრომდის დედაკაცს შეშების უარი ეოს თვალ ასა-ლანდი და ეაღბი ბრწინებალება ბურჟუაზიულ ცივილიზაციის, ხოლო თავის გამოხსნისთვის უნდა შრამობდეს ოჯახში აღზრდილთა და ზრ-ზაკანდიო“. ასეთათ ზრუდონის აზრი ქალთა კითხვის შესახებ. რომ ბურჟუაზია, კათამშეპული სიმდიდრით, ამ წმიდა საქმესაც ვაჭრულ სსწორზე აყენებს — ეს მეტათ ცხადი საქმეა — იმიტომაც სითანსწო-რე სიყვარულში დღეს სსფრთხეშია. მელიერის ჟურდენი იხვეწება: „მსწავეთ ლიტერატურული წესით წარმოვსთქვა: „შვენიერა მარკი-ზავ! შენი მშვენიერი თვალბობა“! და ჟურდენი მარტა არაა დღეინ-დელ დროს.

თვით დედაკაცთ, ზრუდონი მარტა ოჯახს უღოცავთ, მაგრამ მის შემდეგ საქმიანობაშიც ნაყოფიერათ გამოიყენა იგი სსზოგა-დობის განვითარებაში. მსწავლეულობა, ბეტიობა, ექიმობა და მრ-ვალი სხვა შრამა იკისრს აწინდელმა დედაკაცმა. ხოლო აქც ზრ-ზაკანდა ეაღბ ცივილიზაციის წინააღმდეგ და სქესთა შორის ნორმ-ადობის დამყარება უნდა იყოს მისი დიადი მოვალეობა.

ერთი ქალთავანი

**მუთაინის ძალაქის საბჭო.**

25 მარტისთვის დანიშნული საბჭოს მორიგი სსდომა, რო-გორც იქნა, ზირველ აზრის შედგა. საბჭოს დარბაზში ჩვეულებრივ ცარიელი სკამები მეტობდა ხმისხნთა რიცხუს, ე. ი. ერთი კაცი რომ დაკლებოდა, ამდენ ხანს გაჩერებული საქმეები კიდევ გადასადებათ გაუნდებოდა გამკეობას. კრებას თავმჯდომარეობდა გამკეობის წევრი ბ. კველესიანი.

ზირველი სკითხი სარკვიზიო კომისიის მოხსენება ქალ. გამკეობის (1899 წ.) მოქმედების შესახებ, რომლის ერთი ნაწილი 18 მარტის სსდომამ უვევ განიხილა, გადადებულ იქნა, და კრება მეორე სკითხის შეება. ეს მეორე აქაური სსქალაქა სსწავლებლის ინსპექტორის თხოვნას შეებადა. ქალაქის სსწავლებლის ჩვეუ-ლებრივ ექს განყოფილებას, როგორც თხოვნიდან ჩანს, ცხრს ზრადელური მომატება, მსწავლებელთა შრამა კარკეცებულა, შრამის ფასი კი ისევე ძველია, ამიტომ ის თხოვს ქალაქს, რათა ამ უკანასკნელმა დახმარება აღმოუჩინოს სსენებულ სსწავ-ლებელს და გამოიღოს 225 მანეთი მსწავლებელთა ჟილდით. ამ სკითხმს დიდი კამათი გამოიწვია. თუმცა ზრინცინააღურათ უველა დახმარების თანხმა იყო, მაგრამ, როგორც ყოველთვის, ქალაქის კას დღესაც ცალიერი ყოფილას და ამიტომ აზრიც ორათ გაიყო: ზირველი — ცარიელი ჟიბით და თბილი გულით დაუფრებელიც და-ხმარებას ითხოვდა (ზეტრიაშვილი). მეორემ კი, რადგანაც ჟიბეში

ვერთუბრი ხსნა, წყაროები მოთხოვა გამოკვლას. ცარიელიდან ცარიელში გადასვლა შეუძლებელია, ამბობდა ეს მეორე, მარტო გულ-ხეილაბა ვერ უშუქლას საქმეს, თუ გინდა ის სახალხო განათლება იყოს, და თავის თავს მოვატყუებთ. (ბბ. ქიქოძე, დარახველიძე). ახალი წყაროები, რა თქმა უნდა, არ აღმოჩნდა, „ისევე სხვა ხარჯები შემცარდეს და ემატოს სწავლას“ გაისმა ხმები, და უუთიც დაიდგა. 15 ხმის უმეტესობით 7 წინააღმდეგ გადაწყვედა-მთავრდეს სხვა ხარჯებს და დაეხმარებინათ სსსწავლებელს. შემდეგ ამოჩნდა იქნა კომისია, რომელმაც ეს გადაწყვეტილება სისრულეში უნდა მოიყვანოს.

აღწევის შემდეგ სავითის ხაზგადაჭერით უდავოა. ბევრი დახმარების შემდეგ მაინც კომისიას ამოაყარეს თავი. აი რაში იყო საქმე: სადღორის ტყის გამოკვლამ, ბ. ჯვალახმა, საბჭოს წარმომადგენელს მოხსენება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა უსიტყვოთ ხეობა სხვახეობის ტყის ექსპლუატაციას, რომლის გამო ახლო მომავალში ტყე ჭალათ გადაიქცევა და ძირეულ ხეობის მაგიერ ბუჩქნარი შეჩნდება ქალაქს ხელში. ის ითხოვს ტყის დაყოფას და შემდეგ ნაწილ-ნაწილად მოხეხვას, რაც რაციონალურ საშუალებათ არის ცნობილი. ერთიანად მოკაფება ტყისა, მისი ახრით, კარგიც არის და, ამას გარდა, საშიშროებაა წლის განმავლობაში, სხვა ნაკადი წამოიხდებოდეს, შეიძლება მოკაფებული ალაგი დაიხსნას და ზედ ლობიო და ამხარი ერთწლოვანი მცენარეები დაითესოს. ეს სკადანისთვისაც კარგია და ქალაქიც სარგებლობას ნახავს. საცდელათ ის მხოლოდ ერთ ქვეყანაშია მიწის თხოვლობდა. ბევრმა მიიღო ეს მოხსენება, მაგრამ წინააღმდეგობაც გაჩნდა. უკანასკნელები ამბობდნენ: — ტყის გაჩეხვის საქმე ისევე ისე დარჩეს, როგორც აქნაბადის იყო. ეკერ აკერ გამოჩეხვა ტყეს კიდევ უხუთაობა, წარმოთქვა ერთმა მოხუცმა ორატორმა, ვინაიდან რამდენადაც ტყეში ხეობათ რიცხვით ხე, იმდენათ მეტი აქნება წმინდა ჭაერი და სხვა და სხვა მასწავლებელი ნიუთიერებისა, ასეთი დროს შეტყუებული მოსახლეობა ბევრს მოეწონა და მოხუცს მხარი დაუჭირეს. ბოლოს ამოჩნდა მცოდნე ზირებისკან კომისია, რომელმაც მიანდევს ამ სავითის საბოლოო გადაწყვეტა.

საუურადღებოა აგრეთვე ქალაქის სემოსახლე ადგილების მოიჯარადრეთა თხოვნა ქალაქის ხარჯთა მათ სახლების წინ ქუჩების შეკეთების და განათების შესახებ. ერთმა ნაწილმა ხმოსნებისამ მეტ ბარკათ იცნო ქალაქის განაპირა ქუჩების შეკეთება-განათება; ერთი მათგანი, ბ-ნი დარახველიძე, ეს „ორიგინალური ობოზიციონისტი“ კიდევაც გაჯავრდა, ჯერ შუაგულა ქუჩები ვერ გაკვიკვიებია, მტკუარი გვარჩობს, ბუნებაში ვიმტკუროვით, და სადღორისა და საფინანსაში რაღა უნდა ტანდასო. სხვებმა მეტი გულუკეთილობა გამოიჩინეს და განათებაზე მაინც დათანხმდნენ. ესეც კარგია, ფინი იქნება მოინახონ მაინც!


შემდეგ გამოკვლამ მოახსენა საბჭოს-დაუბრუნდეს ვასო აბაშიძეს ის 120 მანეთი, რომელიც გამოკვლამ აიღო უკანასკნელისაგან, ორი დამათ თეატრის სარგებლობისთვის, იუბილუის დროს. „დაუბრუნეთ“ გაისმა, მაგრამ უმეტესობამ უარყო: „ეს ას ოცი მანეთი უფრო გაჭირვებულებს მოავსმარეთ“.

Porole.

წერილი რედაქციის მიმართ.

ქ-ნი რედაქტორო! უმარხილესათ გთხოვთ, მომცეთ საშუალება, თქვენი მდივან-ცემული გაზეთი „კვალის“ საშუალებით, უღრმესი მადლობა გამოვუცხადო იმპერატორ-ცემულ ხირთ, რომლებმაც კეთილ-ინებეს და არ დაიშურეს თავიანთი წვლილი ხიდისთავის უფასო წინვთ-საცავ-სამკითხველს სსსარგებლოთ. სია შემომწირველთა: ვასო მკალბიძე, ნიკოლოზ მდივანმა, მარია წილდსანმა, ბ. დამქო, ნიკოლოზ ქეღუცაძე, დავით ტყეშელაშვილი, მარუსია ჩიჭოვანმა, ალექსანდრე მხეიძემ, ისინი საშინაობა-თითო მანეთი. კატა კალან-დარაშვილი, ანუშკა კვიციანი, ბეტრე ქავთარაძემ, მ. მეთო-დე კახიკაძემ, ლადიკო ჭანტურიშვილმა ათ-ათი შუფრი. მუხი

ლლბტმა 30 კ., სულ 12 მ. 30 კ. ეს ფული ასწავლებს საშუალო განსწავლად ხიდისთავის წინვთ-საცავ-სამკითხველს გამოკვლას. ან. რამიშვილს.



რედაქტ.-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი.

თფილისის კერძო სამკურნალო  
**მ. გელაშვილისა**

(აგია, ნიკოლოზის ქ., სახლი საგინაშვილისა, № 21).

ტელეფონი № 274.

ავათყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა:

დ ი ლ ი თ:

- ვ. ი. ჭიჭინაძე — კბილის სნეულეზანი, 8—10 საათ.
- მიხეილ გელაშვილი — ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ., გარდა ხუთშაბ. და შაბათისა.
- ე. ბ. ფედოროვი — შინაგანი და ბავშვებისა, 9—10.
- ბ. ბ. მალაღაშვილი — შინაგ. სამშ. და ხუთშ. 10—11.
- ვ. დ. ლაშაშვილი — შინაგ. 10—11, სამშაბათს და ხუთშ 1—2.
- ნ. ა. მულინი — ყურის, ყელისა და ცხვირისა, 11—12.
- ი. ზ. ახალშენიშვილი — კბილის სნეულეზანი, 10—12.
- ქ. მ. კლითონიშვილი — შინაგ. და ბავშ. 11—12.
- დ. ა. გელაშვილი — ნერვებისა და შინაგ. 12—1.
- ს. გ. ბარსუკოვი — დედათა სნეულეზანი, ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკეობით, 12—1.
- ს. ა. ვინო — ქირურგიული, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბ. 1—2.
- ბ. მ. ამბარდანიანი — სიფილისისა, კანისა და საშარდესი, 1—2.

ს ა დ ა მ ო თ ი:

- ი. ნ. თუმანიშვილი — დედათა სნეულეზანი, 5—6.
- ს. გ. მალაღაშვილი — შინაგანი და ბავშვებისა. 5—6.

ქ ვ ი რ ა ო ბ ი თ:

ბ. გ. მალაღაშვილი — შინაგან ავათყოფ., 10—12.  
 სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები. ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კპ., ოპერაციები და კრაოტები მოგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა. (წლ.)

საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო  
**ნახაბთიანი გაზეთი**

„ბ მ ა ლ ი“

(წელიწადი მუაო)

გაზეთი 1902 წელსაც ყოველ კვირა დღეს, ერთიდან სამ თაბახამდე